

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

მიხეილ მანიჭაშვილი

ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გავლენა  
ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპზე

სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ნანა ყურუა  
ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი

თბილისი 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვადასტურებ, რომ წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ინტელექტუალურ საკუთრებას, არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად შემუშავებულ ან ხარისხის დასაცავად წარდგენილ ნაშრომებს, იმგვარად რომ არ იყოს მითითებული ანდა ციტირებული, სათანადო წესების დაცვით.

მიხეილ მანიჭაშვილი \_\_\_\_\_

## ანოტაცია

ხელშეკრულებების სტანდარტული პირობების როლი ყოველდღიურად იზრდება, რისი განმაპირობებელიც საბაზრო ეკონომიკის განვითარებაა. ხელშეკრულებების სტანდარტული პირობები უზრუნველყოფს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას, თუმცა ის ზღუდავს ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპს.

ხელშეკრულებების სტანდარტული პირობების გავლენა ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპზე კერძო სამართლის სფეროში შესრულებული ნაშრომია. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია, სტანდარტული პირობებისა და სახელშეკრულებო თავისუფლების ურთიერთმიმართებაზე. ნაშრომში ნათლადაა წარმოჩენილი თითოეული ამ საკითხის პრაქტიკული მნიშვნელობა. გარდა ამისა ყურადღება გამახვილებულია საკანონმდებლო ნორმებზე, რომლებიც სტანდარტული პირობების გამოყენების მიუხედავად იცავენ მხარეთა სახელშეკრულებო თავისუფლებას.

ნაშრომი გვთავაზობს იმ პრაქტიკულ რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინების შემთხვევაშიც კანონმდებლობა უფრო ეფექტური გახდება მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით.

The impact of standard contract terms on the principle of freedom of the contract

Annotation

The importance of the standard terms of contracts increasing daily, the reason is the development of the market economy. It provides stability of civil circulation. The standard terms of the contract limit the principle of freedom of the contract.

The impact of standard contract terms on the principle of freedom of the contract is a research done in private law. The research discusses their practical significance. The research focuses on the relationship between the standard conditions and the principle of freedom. Master's thesis focuses on the norms of law that protect the freedom of the contract regardless of the standard conditions.

In the master's thesis there are practical recommendations in case of taking into account the legislation to become more efficient in protecting the rights of consumers.

## შინაარსი

შესავალი.....	7
თავი I. სახელშეკრულებო თავისუფლებისა და ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ზოგადი ისტორიული მიმოხილვა.....	11
თავი II. ხელშეკრულების თავისუფლება, ცნება და პრაქტიკული მნიშვნელობა (ზოგადი მიმოხილვა).....	15
2.1 ხელშეკრულების ცნება.....	21
2.2 შინაარსის განსაზღვრის თავისუფლება, როგორც სახელშეკრულებო თავისუფლების უმთავრესი გამოვლინება.....	25
თავი III. ხელშეკრულების სტანდარტული პირობების მნიშვნელობა და არსებობის ლეგიტიმური მიზნები.....	28
3.1 ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ცნების ელემენტები.....	33
3.2 სტანდარტული პირობების ხელშეკრულებაში ჩართვის პირობები, როგორც „სუსტი მხარის“ ნების ავტონომიის დაცვის გარანტი.....	37
3.3 უჩვეულო დებულებათა ბათილობა, როგორც მომხმარებელთა ინტერესების დაცვის გარანტი.....	41
3.4 ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგოპირობათა ბათილობა, როგორც მომხმარებლის სახელშეკრულებო თავისუფლების სათანადო რეალიზების საშუალება.....	43
თავი IV ხელშეკრულების სტანდარტული პირობები ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის პროცესში.....	52
4.1 დირექტივა სამომხმარებლო ხელშეკრულებების უსამართლოპირობების შესახებ 93/13/EEC (ქართულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის პროცესი).....	55
პრაქტიკული რეკომენდაციები.....	59

დასკვნა.....	64
ბიბლიოგრაფია.....	66

## შესავალი

თანამედროვე ეპოქაში ყოველდღიურად მილიონობით ხელშეკრულება იდება, რიცხოვნობის ასეთი მაშტაბების ერთ-ერთი მიზეზი საბაზრო ეკონომიკის განვითარება და სამოქალაქო ურთიერთობათა გლობალიზაციაა. ბუნებრივია, როდესაც საუბარია სახელშეკრულებო ურთიერთობების ასეთ რაოდენობაზე, შეუძლებელია ხელშეკრულების მხარეებმა ხელშეკრულების თითოეული პირობა შეათანხმონ ერთმანეთთან უშუალო მოლაპარაკების გზით. ამიტომ დამკვიდრდა პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე წინასწარ ადგენდა პირობებს და სთავაზობდა მეორე მხარეს. ასეთმა პრაქტიკამ მოიტანა საჭიროება იმის, რომ გარკვეული მექანიზმებით დაცული ყოფილიყო ხელშეკრულების იმ მხარის უფლებები, რომლებიც არ იღებდნენ მონაწილეობას ხელშეკრულების პირობების შედგენაში. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, კანონმდებელმა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, დაადგინა ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ცნება და განსაზღვრა ის გარემოებები, რომლებიც შესაძლებელია შემდგომში გახდეს სტანდარტული პირობების ბათილობის საფუძველი.

ხელშეკრულებაში სტანდარტული პირობების ჩართვა გარკვეულწილად ზღუდავს სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს, რომელსაც ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი ჰქვია. ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი წარმოადგენს კონტრაქტთა ნების ავტონომიის სათანადო რეალიზების პროდუქტს, რაც ინფორმაციის სათანადო გაცვლის შედეგად ხელშეკრულების დადებისა და მისი პირობების განსაზღვრის შესაძლებლობას გულისხმობს. აღნიშნული პრინციპი მეტად მნიშვნელოვანია პრაქტიკული თვალსაზრისით, გამომდინარე იქედან, რომ როდესაც ხელშეკრულების მხარე თავად განსაზღვრავს იმ პირობას, რომლითაც შემდგომში შეიბოჭება, ის უფრო უკეთესათ გაითავისებს ამ პირობის არსაა და მისი დარღვევის შემთხვევაში შესაძლო უარყოფით შედეგებს, რაც

სტანდარტული პირობის შემთხვევაში ნაკლებად მიიღწევა. აღნიშნულის თქმის საფუძველს გვაძლევს ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ცნება, რომლის მიხედვითაც სტანდარტული პირობებს ადგენს შემთავაზებელი და სთავაზობს მომხმარებელს.

ვფიქრობ, საკითხი ღირებულია როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით. თეორიული ღირებულება განპირობებულია ერთის მხრივ, სახელშეკრულებო ურთიერთობათა როლით სამოქალაქო სამართალში, რომელიც ვერ იარსებებს თავისუფლების პრინციპის გარეშე და მეორეს მხრივ, ხელშეკრულების სტანდარტული პირობებით, რომელიც სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის ერთ-ერთ გარანტს წარმოადგენს. რაც შეეხება საკვლევი საკითხის პრაქტიკულ მნიშვნელობას, აღნიშნულზე მეტყველებს საბაზრო ეკონომიკის განვითარება, რომელმაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად გაზარდა ხელშეკრულების სტანდარტული პირობების როლი, აქვე საყურადღებოა ელექტრონული ფორმით დადებული ხელშეკრულებები სადაც კონტრაქტთა უფლება-მოვალეობების აბსოლიტური უმრავლესობა სწორედ სტანდარტული პირობებითაა მოწესრიგებული. აქვე უნდა აღინიშნოს საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმება, რომელმაც მომხმარებელთა დაცვის კუთხით მთელი რიგი ვალდებულებები დააკისრა საქართველოს სახელმწიფოს. ასოცირების ხელშეკრულებიდან გამომდინარე კანონმდებლობამ უნდა შემოგვთავაზოს ეგრედწოდებული „ოქროს შუალედი“ თავისუფალი მეწარმეობის განვითარებასა და მომხმარებელთა უფლებების დაცვას შორის.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია დაადგინოს რა პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპს და რა გავლენას ახდეს ხელშეკრულების სტანდარტული პირობები ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპზე, კერძოდ: წარმოადგენს თუ არა ხელშეკრულების სტანდარტული პირობები ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის შეზღუდვის საფუძველს, სად გადის ზღვარი სტანდარტულ პირობებსა და თავისუფლების პრინციპს



შორის, რამდენად უზრუნველყოფს ხელშეკრულების სტანდარტული პირობები ხელშეკრულების სუსტი მხარის უფლებების დაცვას.

წინამდებარე ნაშრომი თავისი მოცულობიდან გამომდინარე არ წარმოადგენს, სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპისა და ხელშეკრულების სტანდარტული პირობების დეტალურ კვლევას. როგორც თემის სათაურიდან ირკვევა, წარმოდგენილი ნაშრომისათვის მნიშვნელოვანია ურთიერთმიმართების დადგენა სტანდარტულ პირობებსა და თავისუფლების პრინციპს შორის. ამიტომ ნაშრომში განხილულია საკითხები მხოლოდ იმ დოზითა და შინაარსით, რომელიც ემსახურება ლოგიკური ბმის შენარჩუნებას საკვლევ საკითხებს შორის.

კვლევის ამოცანაა, ნათლად წარმოაჩინოს ის საკანონმდებლო დათქმები, რომლებიც ემსახურება ნების ავტონომიის დაცვას სტანდარტული პირობების გამოყენების კონტექსტში. ასევე კვლევის ამოცანაა შიდა კანონმდებლობის, სასამართლო პრაქტიკისა და უცხო ქვეყნების კანონმდებლობის გათვალისწინებით ნათლად წარმოაჩინოს საკანონმდებლო და პრაქტიკული ხარვეზები. ამასთან კვლევა ემსახურება ხარვეზების აღმოსაფხვრელად საჭირო რეკომენდაციების შემოთავაზებას, რომელთა ნაწილიც ევროპასთან ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებებიდან გამომდინარეობს.

ნაშრომში გამოყენებულია ზოგადმეცნიერული კვლევის მეთოდი, ამასთან ზოგიერთი საკითხის კვლევისათვის გამოყენებულია: ისტორიული, ნორმატიული, მიმოხილვითი და შედარებით სამართლებრივი კვლევის მეთოდი.

ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი, ისევე როგორც ხელშეკრულების სტანდარტული პირობები, არაერთხელ გამხდარა იურისტების მსჯელობის საგანი. დაწერილია, როგორც წიგნები ასევე დისერტაციები, სტატიები და სამაგისტრო ნაშრომები. თუმცა ყოველივე ზემოაღნიშნული გარემოების მიუხედავად პრაქტიკაში ხშირია ისეთი შემდეგები, როდესაც ხელშეკრულების მხარეთა შორის დავას იწვევს ისეთი პირობები, რომლებიც არ ყოფილა

ხელშეკრულების დადების დროს არსებითი შეთანხმების საგანი. შესაბამისად წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის პრაქტიკულ მხარეზე და ამასთან, განხილულია ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ის სამართლებრივი რეგულაციები, რომლებიც მომხმარებელთა უფლებების ერთგვარ გარანტს წარმოადგენს. აღნიშნული სამართლებრივი ინსტიტუტების კომპლექსური გააზრების გათვალისწინებით ნაშრომი ადგენს საკანონმდებლო ხარვეზებს და გვთავაზობს აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრის გზებს, სწორედ ეს გარემოებები განასხვავებს წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომს სხვა ნაშრომებისაგან.

საკითხის კვლევისას გამოყენებულია, როგორც ქართული ასევე უცხოური ლიტერატურა, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები. ამასთან ზოგიერთი პოზიციის მართებულობის დასაბუთებისათვის გამოყენებულია საქართველოს საერთო სასამართლოებისა და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები.

ნაშრომი შედგება: შესავალისა და ოთხი თავისაგან, თითოეული თავი დაყოფილია ქვეთავებად. კვლევა დასკვნისა და რეკომენდაციების სახით გვთავაზობს პასუხებს ნაშრომში განხილულ პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით.

## თავი I. სახელმწიფო თავისუფლებისა და ხელმწიფოების სტანდარტული პირობების ზოგადი ისტორიული მიმოხილვა

თანამედროვე მსოფლიოში ძნელად თუ მოიძებნება სახელმწიფო, რომელიც ხელმწიფოების თავისუფლებას, როგორც უმთავრეს სამართლებრივ პრინციპს არ აღიარებს საკანონმდებლო დონეზე. აღნიშნული გარემოება სრულიად ბუნებრივია, ვინაიდან სამოქალაქო ურთიერთობების არსებობა ხელმწიფოების არსებობის გარეშე, ხოლო ხელმწიფოება თავისუფლების პრინციპის გარეშე პრაქტიკულად წარმოუდგენელია. ამასთან გასათვალისწინებელია სამოქალაქო ურთიერთობათა გლობალიზაციის პროცესი, რომელმაც წარმოებების მსოფლიო მაშტაბით გადანაწილება გამოიწვია, რამაც თავის მხრივ, შეუძლებელი გახადა ქვეყნების სრულ იზოლაციაში არსებობის შესაძლებლობა. თუმცა მის მნიშვნელობას ხაზი მე-19 საუკუნიდან გაესვა.<sup>1</sup>

თანამედროვე სამოქალაქო სამართლის „მშობლად“ რომის სამართალი შეგვიძლია მივიჩნიოთ. რომის სამართლის გარეშე სრულიად წარმოუდგენელია თანამედროვე სამოქალაქო სამართლის არსებობა,<sup>2</sup> მართალია რომის სამართალში არ იყო გამოყენებული ზოგიერთი ის სამართლებრივი ტერმინი, რომელსაც თანამედროვე სამართლის სისტემები იყენებენ, თუმცა ინსტიტუციურად არსებობდა ურთიერთობათა ის მოწესრიგება, რომელთა ნიშნებსაც თანამედროვე ცივილისტიკაში ვხვდებით. ანალოგიური შეიძლება ითქვას ხელმწიფოების თავისუფლების პრინციპზე. მართალია ის როგორც პრინციპი, სახელობით არ არის მოხსენიებული რომის სამართლის წყაროებში, თუმცა ხელმწიფოების კატეგორიებისა და მისი მომწესრიგებელი ნორმების ანალიზი გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ სახელმწიფოებო თავისუფლება რომის სამართალში აღიარებული ინსტიტუტს წარმოადგენდა.

<sup>1</sup> ჯორბენაძე ს. *ხელმწიფოების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2016*. გვ 17;

<sup>2</sup> გარიშვილი მ. ხოფერია მ. *რომის სამართლის საფუძვლები, თბილისი 2010*, გვ 2;

რომაული სამოქალაქო სამართალი ახდენდა ხელშეკრულებათა შემდეგ კლასიფიკაციას: რეალური, ვერბალური, ლიტერარული და კონსესუალური. თითოეული მათგანისათვის დადგენილი იყო გარკვეული მოთხოვნები, რომლებიც უნდა დაეკმაყოფილებინა იმდროინდელ ხელშეკრულებას, თუმცა, რაც მთავარია, რომის სამართლის მიხედვით ხელშეკრულების დადებისათვის ნების არსებობა იყო საჭირო. სახელშეკრულებო თავისუფლების კუთხით მნიშვნელოვანია კონსესუალური ხელშეკრულება, რომლის ნამდვილად ცნობისათვისაც საკმარისი იყო იმის დადგენა, რომ მხარეთა შორის კონსესუსი (შეთანხმება) იქნა მიღწეული, ასეთი ხელშეკრულებების ნამდვილობისათვის ნივთის გადაცემა არ იყო საჭირო.<sup>3</sup>

სახელშეკრულებო თავისუფლების ნიშნები ქართულ სამართლის ძეგლებში უხვად მოიპოვება, თუმცა მას როგორც პრინციპს სახელობით ვერ ვნახავთ. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი, რომელიც საკუთრების უფლების მოპოვების ერთ-ერთ საფუძვლად ნასყიდობის (ყიდვა-გაყიდვის) ხელშეკრულებას მიიჩნევდა. აქვე საგულისხმოა თანამედროვე გაგებით ნების ავტონომიის მნიშვნელობა, ვინაიდან ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი, ნასყიდობის ხელშეკრულებით შეძენილი ქონების ჩამორთმევის შესაძლებლობას მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში ითვალისწინებდა.<sup>4</sup>

საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის ერთ-ერთ საფუძვლად გარიგება მიიჩნეოდა.<sup>5</sup> თუმცა, სოციალისტური სისტემის გამო ხელშეკრულების

---

<sup>3</sup> ნადარეიშვილი გ, რომის სამოქალაქო სამართალი, გამომცემლობა ბონა კაუზა, თბილისი 2009, გვ 96;

<sup>4</sup> თორთლაძე ო. სამართლის წყაროების როლი, ქართული სამართლის განვითარებაში, კავკასიის უნივერსიტეტი, ჟურნალი N4 „სამართლებრივი განვითარება“ სტუდენტთა მე-7 სამეცნიერო კონფერენციის მონაწილეთა ნაშრომები, გვ 144; ხელმისაწვდომია: <http://www.library.court.ge> [21.06.2019];

<sup>5</sup> საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის მე-4 მუხლი;

თავისუფლება, როგორც სახელმწიფოს მიერ აღიარებული ფუნდამენტური უფლება არ არსებობდა.

საქართველოს პარლამენტის მიერ, 1997 წლის 26 ივნისს, სამოქალაქო კოდექსის მიღებამ, სახელშეკრულებო თავისუფლება აღიარა სახელშეკრულებო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპად. ამავდროულად, ევროპული კერძო სამართლის რეცეფციამ, სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი შემოგვთავაზა იმ ფორმით, როგორც თანამედროვე ცივილიზებული ქვეყნებისათვის იყო მისაღები.

განსხვავებით ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპისა, სტანდარტული პირობები თანამედროვე ინდუსტრიკონალიზმის შედეგია. სტანდარტული პირობების ინსტიტუტად ჩამოყალიბების პროცესი XIX საუკუნიდან კერძოდ, კი ინდუსტრიული რევოლუციის შემდგომ დაიწყო. თუმცა, მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი სათავეს რომის სამართლიდან იღებს. რომის სამოქალაქო სამართალი იცნობდა ტერმინს, რომელიც ითარგმნება როგორც „უზარმაზარი ზიანი“, აღნიშნული კი ვრცელდებოდა იმ პირებზე, რომლებსაც დღევანდელი გაგებით მომხმარებლად განვიხილავთ.<sup>6</sup>

თანამედროვე გაგებით მომხმარებლის უფლებების დაცვაზე ზრუნვა 1960- იანი წლებიდან დაიწყო. 1970 წელს შეიქმნა მომხმარებელთა დაცვის ასოციაციები. 1973 ევროპის გაერთიანების მიერ დამტკიცებული იქნა ქარტია „მომხმარებლების შესახებ“<sup>7</sup>

მომხმარებელთა დაცვის სფეროში ძირითადი ცვლილებები 1990-იანი წლებიდან დაიწყო. 1992 წელს ხელი მოეწერა მასტრიხტის ხელშეკრულებას<sup>8</sup>,

---

<sup>6</sup> ჯორბენაძე ს. ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2016, გვ 189;

<sup>7</sup> ლაკერზაია თ. ხელშეკრულების უარყოფის უფლება, ქართული და ევროპული სახელშეკრულებო სამართლის ანალიზი, დისერტაცია, თბილისი 2016, გვ 29;

<sup>8</sup> Treaty on European Union (Maastricht text), July 29, 1992, 1992 O.J. C 191/1 ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/> [25.05.2019];

ხელშეკრულებით განისაზღვრა ევროპის საბჭოს კონცეფცია მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით. შედეგად მიღებულ იქნა მთელი რიგი დირექტივები, რომლებიც ეხებოდა მომხმარებელთა უფლებების დაცვას.

საქართველოს მაგალითზე, მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით შეიძლება აღინიშნოს 1996 წელს მიღებული კანონი, „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“<sup>9</sup> რომელიც მოგვიანებით იქნა გაუქმებული. აქვე ხაზგასასმელია, რომ აღნიშნული კანონი მიღებულ იქნა სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე. თავის მხრივ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიღებამ სრულიად ახალი სტანდარტი დაამკვიდრა, როგორც სახელშეკრულებო თავისუფლების ასევე, ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებთან მიმართებით.

---

<sup>9</sup> იხ. საქართველოს კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ ძალადაკარგულია: 25.05.2012. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/> [10.06.2019];

## თავი II. ხელშეკრულების თავისუფლება, ცნება და პრაქტიკული მნიშვნელობა (ზოგადი მიმოხილვა)

თანამედროვე სახელშეკრულებო სამართლის არსებობა ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის გარეშე წარმოდგენილია. სახელშეკრულებო თავისუფლების დამსახურებაა, რომ სამოქალაქო ურთიერთობები არსებობს ისეთი ფორმით, როგორსაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ვხვდებით. ის ემსახურება ადამიანის სურვილების რეალიზაციას, რისთვისაც მსოფლიოს მამტაბით, სხადასხვა ქვეყნებში, სახელშეკრულებო ურთიერთობი უნდა დამყარდეს, სწორედ ამ დროს ყალიბდება მხარეთა მოსაზრებები, რომლებიც შემდგომში ხელშეკრულებაში აისახება.<sup>10</sup>

ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის მნიშვნელობაზე მიუთითებენ მთელი რიგი სამართლებრივი აქტები, რომლებიც გაწერილია სხვადასხვა ქვეყნების შიდა კანონმდებლობასა თუ საერთაშორისო უნიფიცირებულ აქტებში. სახელშეკრულებო თავისუფლება ცნობილია ყველა სამართლის სისტემისათვის. თითოეული მათგანი ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპს სახელშეკრულებო სამართლის საფუძვლად მიიჩნევს.

სახელშეკრულებო თავისუფლების როლი საბაზრო ეკონომიკის განვითარებასთან ერთად იზრდება, ვინიდან საბაზრო ეკონომიკის განვითარება პირდაპირპროპორციულად ზრდის ხელშეკრულებების დადებათა დინამიკას. საბაზრო ეკონომიკაში, სადაც საქონლისა და მომსახურების თავისუფალი გაცვლაა შესაძლებელი, ბაზრის მონაწილეებს უნდა გააჩნდეთ შესაძლებლობა ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლებში იმოქმედონ ისე, როგორც მათი ინტერესები მოითხოვს, რასაც სახელშეკრულებო თავისუფლება

---

<sup>10</sup> ჯორბენაძე ს. ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2016. გვ 41;

უზრუნველყოფს.<sup>11</sup> ხელშეკრულების თავისუფლება ემსახურება კონკურენტუნარიანი ეკონომიკური წესრიგის ჩამოყალიბებას.

ხელშეკრულების თავისუფლების, როგორც პრინციპის, საკანონმდებლო საფუძვლად გვევლინება სამოქალაქო კოდექსის 319 მუხლის 1-ლი ნაწილი, რომლის მიხედვითაც, კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებები, რომლებიც კანონით არ არის გათვალისწინებული.<sup>12</sup>

ხელშეკრულების თავისუფლება ობიექტური ფორმით არსებობს, იმისათვის, რომ აღნიშნულის ფორმირება მოხდეს აუცილებელია მხარეთა ნების გამოვლენა. უფლების რეალიზაციისათვის ხელშეკრულების მხარე თავად არჩევს იმ სამართლის ნორმას, რომელსაც შემდგომში მისი მოქმედება დაეფუძვნება.

სახელშეკრულებო თავისუფლება გულისხმობს პირის უფლებას დადოს ან არ დადოს ხელშეკრულება, თავად აირჩიოს კონტრაქენტი და თავად განსაზღვროს ხელშეკრულების პირობები. სახელშეკრულებო თავისუფლების პრაქტიკულ რეალიზებას ხელს უწყობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსში არსებული დისპოზიციური ნორმები, გამომდინარე იქედან, რომ დისპოზიციური ნორმების შეცვლა დასავებია მხარეთა შეთანხმებით.<sup>13</sup> თუმცა აღნიშნული წესიდან არსებობს გამონაკლისი შემთხვევებიც. ხელშეკრულების თავისუფლება შეზღუდულია სახელმწიფოს მიერ, ასეთი შეზღუდვა ახსნილია სამოქალაქო ურთიერთობაში მონაწილე პირთა უფლებების დაცვით, თუმცა თითოეული ამგვარი შეზღუდვის მართლზომიერების საკითხი ინდივიდუალურ განსჯას საჭიროებს.

---

<sup>11</sup> Çiçek Ersoy Artunç, *Vertragsfreiheit als Erscheinungsform der Privatautonomie im deutschen Zivilrecht*, *Annales XL. N57, 2008*, გვ 302- 303;

<sup>12</sup> იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, ხელმისწვდომია: <https://matsne.gov.ge> [20.06.2019];

<sup>13</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება სამოქალაქო საქმეზე Nას-1147-1094-2013;



სახელმწიფოებო თავისუფლება წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის ზოგადი პრინციპის, კერძო ავტონომიის, სახელმწიფოებო სამართლებრივ გამოვლინებას, რომელსაც თავის მხრივ, როგორც ყველა უფლებას კონსტიტუციურ სამართლებრივი საფუძველი გააჩნია. კონსტიტუციურ სამართლებრივ საფუძველში იგულისხმება საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლი, რომელიც ყველას ანიჭებს თავისუფალი განვითარების უფლებას,<sup>14</sup> ხოლო კერძო ავტონომიის სამოქალაქო სამართლებრივი საფუძველი სამოქალაქო კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილია. ნორმა კერძო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებს ანიჭებს უფლებამოსილებას განახორციელონ კანონით აუკრძალავი, მათ შორის კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი ნებისმიერი მოქმედება.<sup>15</sup> შესაბამისად სახელმწიფოებო თავისუფლების პრინციპის სათანადო გააზრებისათვის საჭიროა იგი განხილულ იყოს, როგორც ზემოაღნიშნული საკითხების, ასევე ხელმწიფოებოების ცნების პარალელურად, რომელიც, თავის მხრივ, სახელმწიფოებო თავისუფლების პრინციპის რეალიზების „პროდუქტს“ წარმოადგენს.

„კერძო ავტონომია ეწოდება კონკრეტულ პირთათვის სამართლით მინიჭებულ და უზრუნველყოფილ შესაძლებლობას ერთმანეთს შორის ურთიერთობა განსაზღვრულ ფარგლებში მოაწესრიგონ გარიგების, განსაკუთრებით ხელმწიფოებოების მეშვეობით“.<sup>16</sup>

კერძო ავტონომიის პრინციპი გულისხმობს თვითპასუხისმგებლობასაც, აღნიშნული გამოიხატება იმაში, რომ პირი თავად აგებს პასუხს საკუთარი ქმედებებისათვის. თვითპასუხისმგებლობა წარმოადგენს კერძო ავტონომიის იმ შემადგენელ ნაწილს, რომელიც ეკონომიკური წინსვლის განმსაზღვრელია.

---

<sup>14</sup> იხ. საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლი. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/> [10.06.2019];

<sup>15</sup> იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილი. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/> [10.06.2019];

<sup>16</sup> Laren/wolf, *Allgemeiner Teil des burgerlichen Rechts*, 213 Rn. 17. მითითებულია, ჭანტურია ლ. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა სამართალი, თბილისი 2011. გვ 90;

პირველ რიგში ეს ეხება ქონებრივ პასუხისმგებლობას, რადგან სწორედ ქონებრივი დანაკარგის ან სარგებლის მიღების განცდა აიძულებს სახელმწიფო ურთიერთობაში მონაწილე პირებს ვალდებულება შეასრულონ ჯეროვნად.<sup>17</sup>

სამოქალაქო კანონმდებლობა ნების ავტონომიისა და სახელმწიფო თავისუფლების ფლების პრინციპის აღიარებით უზრუნველყოფს სუბიექტის შესაძლებლობას საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედოს და მიაღწიოს იმ შედეგს, რომლის მიღწევაც სურს ხელმწიფოებით. თუმცა აბსოლუტური თავისუფლების პირობებში არსებობს საფრთხე, რომ თავისუფლება გადაიზარდოს თვითნებობაში. სწორედ ამიტომ სახელმწიფო თავისუფლება და ნების ავტონომია არ წარმოადგენენ აბსოლუტური ხასიათის უფლებას და მათი შეზღუდვა გარკვეული ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად დასაშვებია. ეს მიზნებია: საჯარო ინტერესების დაცვა, ბაზარზე „სუსტი მხარის“ სტატუსით მონაწილე პირის უფლებების დაცვა და სახელმწიფო სამართლიანობის მიღწევა.<sup>18</sup>

როგორც უკვე ავღნიშნე სახელმწიფო თავისუფლებას იცნობს ყველა ცივილიზებული ქვეყნის კანონმდებლობა და სამართლის სისტემა. მაგალითად ხელმწიფოების თავისუფლების პრინციპს განამტკიცებს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §311 მუხლის 1-ლი ნაწილი, რომლის მიხედვითაც გარიგების საფუძველზე ვალდებულების წარმოშობისათვის საჭიროა მხარეთა შორის ხელმწიფოების დადება. ნორმა ცალსახად განსაზღვრავს, რომ ვალდებულების წარმოშობისათვის საჭიროა ნების გამოვლინება

---

<sup>17</sup> ჭანტურია, ლ. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა სამართალი, თბილისი 2011, გვ. 92, 93;

<sup>18</sup> გელაშვილი ი. სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, [gccc.ge](http://gccc.ge), 17.10.2017, მუხ. 319, ველი 14;

ხელშეკრულების დადების თაობაზე, რის საფუძველიც მხარეთა კერძო ავტონომიაა.<sup>19</sup>

ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების (principles of European Contract Law) 1:102 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით: მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად დადონ ხელშეკრულება ასევე განსაზღვრონ მისი შინაარსი კეთილსინდისიერებისა და სამართლიანობის პრინციპის შესაბამისად.<sup>20</sup>

„უნიდროას“ პრინციპების (UNIDROIT PRINCIPLES) 1.1 პუნქტის მიხედვით: მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად გააფორმონ ხელშეკრულება და განსაზღვრონ მისი შინაარსი. ამავე მუხლის ოფიციალურ კომენტარში აღნიშნულია, ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი გადამწყვეტი მნიშვნელობისაა საერთაშორისო ვაჭრობის კუთხით. მეწარმეს უფლება აქვს გადაწყვიტოს ვის შესთავაზოს თავისი პროდუქტი, ხელშეკრულების თავისუფლება თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის ქვაკუთხედეა, ის ხელს უწყობს ჩამოყალიბდეს კონკურენტუნარიანი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგი.<sup>21</sup>

თავად სახელშეკრულებო სამართალი, რომლის შემადგენელი ნაწილიცაა სახელშეკრულებო თავისუფლება, ეკონომიკური ცხოვრების განვითარების, პირადი ინიციატივის გაფართოვებისა და სტაბილური კერძოსამართლებრივი ბრუნვის წინაპირობაა.<sup>22</sup>

---

<sup>19</sup> კროპპოლერი ი. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, დაბეჭდილია საიას იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდის მიერ GIZ-ის დავალებით, თბილისი 2014. გვ 196;

<sup>20</sup> ბზეკალავა ე. ჭალიძე თ. ცერცვაძე ა. გეგენავა დ. ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები, თარგმანი, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი 2014. გვ 19;

<sup>21</sup> UNIDROIT PRINCIPLES OF INTERNATIONAL COMMERCIAL CONTRACTS 2016, გვ 17 ხელმისაწვდომია: <https://www.unidroit.org> [25.05.2019];

<sup>22</sup> ჭანტურია, ლ. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი. გამომცემლობა სამართალი. თბილისი 2001, გვ. 31;

მართალია, როგორც ქართული სამართლის ნორმები, ასევე უცხოური დებულებები აღიარებენ ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპს, თუმცა ისინი არ გვთავაზობენ იმ მოქმედებების ჩამონათვალს, რომლებიც ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპში მოიაზრება. ამიტომ მათი განსაზღვრა სამართლებრივი პრაქტიკით ხდება.

სახელშეკრულებო თავისუფლება კერძო სამართლის სუბიექტებს ანიჭებს უფლებამოსილებას, რომ მათ თავადვე „შექმნან“ ისეთი ხელშეკრულება, რომელიც კანონით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული, ამგვარ ხელშეკრულებებს გერმანულ სამოქალაქო სამართლებრივ დოქტრინაში მოიხსენიებენ, როგორც ატიპიურ ხელშეკრულებებს (atypischer Vertrag), ასევე მხარეები ამგვარი თავისუფლების ფარგლებში უფლებამოსილი არიან დადონ ისეთი ხელშეკრულება, რომელიც შეიცავს კანონით განსაზღვრული რამოდენიმე ხელშეკრულების ნიშნებს, აღნიშნული გერმანულ სამოქალაქო კანონმდებლობაში მოიხსენიება, როგორც შერეული კონტრაქტი (gemischter Vertrag).<sup>23</sup> ხელშეკრულებათა ამგვარი კლასიფიკაცია ცნობილია ქართული სამართლებრივი დოქტრინისთვისაც.

სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი არ არის მხოლოდ თეორიული მსჯელობის საგანი, მას გააჩნია უმნიშვნელოვანესი პრაქტიკული დანიშნულება. როდესაც ხელშეკრულების მხარეები წინასახელშეკრულებო ურთიერთობაში მოქმედებენ თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, შესაბამისად როდესაც ისინი თავად საზღვრავენ ხელშეკრულების პირობებს, რომლითაც შემდგომ შეიბოჭებიან, მათთვის ცნობილია ან უნდა იყოს ცნობილი ის სამართლებრივი შედეგები, რომლებიც ხელშეკრულების თანმდევია. სახელშეკრულებო თავისუფლება იცავს მხარეებს ეგრედწოდებული მოულოდნელი პირობებისაგან „surprising terms“<sup>24</sup>. გარდა ამისა სახელშეკრულებო თავისუფლების მიზანი,

---

<sup>23</sup> <http://lexikon.iyotta.de/vertragsfreiheit/> [20.05.2019]

<sup>24</sup> მოულოდნელ პირობაში მოიაზრება ისეთი პირობები, რომელთა წინასწარ გააზრება სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი პირისათვის ძნელად განსაჭვრეტი იყო. მოულოდნელი პირობის ანალოგად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 344-ე მუხლით

მხარეთა თანასწორობის იდეის შენარჩუნებაა, რომელიც თავის მხრივ სახელშეკრულებო სამართლიანობის წინაპირობას წარმოადგენს.

რა თქმა უნდა, სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის თითოეული შემადგენელი ნაწილი მნიშვნელოვანია პრაქტიკული თვალსაზრისით, თუმცა წარმოდგენილი ნაშრომის მიზნებისათვის ხაზგასასმელია ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრის თავისუფლება, გამომდინარე იქედან, რომ ხელშეკრულების სტანდარტული პირობები თავისი განმარტებიდან გამომდინარე, ზღუდავენ სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპს შინაარსის განსაზღვრის ნაწილში, ამიტომ აღნიშნულ საკითხს ნაშრომში ცალკე ქვეთავი ეთმობა.

## 2.1 ხელშეკრულების ცნება

მნიშვნელოვანია, რომ ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის ცნების განსაზღვრა მოხდეს ხელშეკრულების ცნების პარალელურად<sup>25</sup>, გამომდინარე იქედან, რომ ხელშეკრულება ამ პრინციპის პრაქტიკაში რეალიზების პროდუქტია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულებას გააჩნია იდენტური იურიდიული ძალა მიუხედავად იმისა მისი შინაარსი სტანდარტული პირობებითაა გაწერილი თუ შეთანხმება არსებითი პირობების საფუძველზე მოხდა.

ხელშეკრულების ცნების დეფინიციას არცერთი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი არ გვთავაზობს. შესაბამისად

---

*გათვალისწინებული უჩვეულო პირობა შეგვიძლია მივიჩნიოთ, თუმცა ტერმინის „surprising terms“- განმარტება მოცემულია უნიდროას პრინციპების ARTICLE 2.1.20 -ში. ხელმისაწვდომია: <https://www.unidroit.org> [20.05.2019];*

<sup>25</sup> *ჯორბენაძე ს. ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2016. გვ 41;*

ხელშეკრულების ცნების განმარტებისათვის საჭიროა შეფასდეს ის საკანონმდებლო ბაზა, რომელიც მოქმედებს ზოგადად ხელშეკრულებების მიმართ. შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ხელშეკრულების ცნების ჩამოყალიბებისათვის საჭიროა კერძო სამართლის პრინციპების ერთიანობაში ანუ კომპლექსურად განხილვა, სხვაგვარად სახელშეკრულებო ურთიერთობების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე ხელშეკრულების ცნების ერთიანი დეფინიციის ჩამოყალიბება შეუძლებელია და ამასთან ერთად არ არის მართებული<sup>26</sup>.

ხელშეკრულება ხარისხობრივად ყველაზე მაღლა მდგომ შესასრულებლად სავალდებულო აქტს წარმოადგენს. ხელშეკრულება ესაა შეთანხმება, რომლითაც მხარეები თავიანთი სურვილით კისრულობენ ერთმანეთის მიმართ ვალდებულებებს. ამასთან თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ხელშეკრულების დადების საფუძველი კანონია, მართებული იქნება თუ ვიტყვით, ხელშეკრულებას კანონის ძალა გააჩნია.<sup>27</sup> ასევე ხელშეკრულების, როგორც სამართლებრივი კონსტრუქციის მნიშვნელობას ვერ აკნინებს ის გარემოება, რომ თანამედროვე სამართალში სულ უფრო იზრდება სამართლებრივი მოწესრიგებისა და სასამართლო პრაქტიკის როლი.<sup>28</sup> თანამედროვე ევროპულ საზოგადოებას „სახელშეკრულებო საზოგადოებადაც“ მოიხსენიებენ ამით კი ხაზგასმულია ხელშეკრულების როლი ეფექტური მართლწესრიგის ფუნქციონირების საქმეში.<sup>29</sup> აღნიშნული პათოსი სრულიად ლოგიკურია ვინაიდან კანონი და სასამართლო პრაქტიკა სწორედ საზოგადოების საჭიროებების კვალდაკვალ ვითარდება და ხელს უწყობს სამოქალაქო

---

<sup>26</sup> ჯორბენაძე ს. ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2016. გვ 44;

<sup>27</sup> ზოიძე ბ. სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა, უპირატესად ადამიანის უფლებათა ჭრილში, ესეები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2013, გვ 57;

<sup>28</sup> ძლიერიშვილი ზ. ცერცვაძე გ. რობაქიძე ი. სვანაძე გ. ცერცვაძე ლ. ჯანაშია ლ. სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2014, გვ 51;

<sup>29</sup> იქვე, გვ 51;

ურთიერთობათა განვითარებას ისე, რომ დაცული იყოს სამართლის სუბიექტთა უფლებები, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს მატერიალური ხასიათის სიკეთის სამართლიან გადანაწილებას.

ხელშეკრულება გარიგების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა, ხელშეკრულება ორმხრივი ან მრავალმხრივი გარიგებაა, ამიტომ ყველა ხელშეკრულება გარიგებაა, ხოლო ყველა გარიგება არ არის ხელშეკრულება.<sup>30</sup> აქვე ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ ხელშეკრულება და ვალდებულება, ხელშეკრულებაში იურიდიული ფაქტი მოიაზრება, რომელიც წარმოშობს ვალდებულებებს, ვალდებულება კი სამართლებრივ ურთიერთობას გულისხმობს. ვალდებულება, გარდა ხელშეკრულებისა კანონის საფუძველზეც შეიძლება წარმოიშვას.<sup>31</sup>

ტერმინ „ხელშეკრულებას“ ევროპულ თუ საერთაშორისო სამართლებრივ პრაქტიკაში იყენებენ მინიმუმ სამი გაგებით. პირველი გამოხატავს მხარეთა შეთანხმებას, რომლის მიზანია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა (შეცვლა ან შეწყვეტა). მეორე, მიუთითებს სამართლებრივ ურთიერთობაზე, რომელიც წარმოიშვა ხელშეკრულებიდან, როგორც შეთანხმებიდან და მესამე, თვით დოკუმენტზე, სადაც ხელშეკრულების პირობებია გაწერილი. მითითებული გარემოებებიდან შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ ხელშეკრულების იდეა კონსესუსი ანუ შეთანხმებაა.<sup>32</sup>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, „ხელშეკრულება დადებულიად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით“.<sup>33</sup>

---

<sup>30</sup> ახვლედიანი ზ. ვალდებულებითი სამართალი, გამომცემლობა სამართალი, თბილისი 1999, გვ 10-11;

<sup>31</sup> იქვე, გვ 10-11;

<sup>32</sup> ბალიშვილი ე. სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, *gcc.ge*, 18.08.2016, მუხ. 327, ველი 3-ის სქოლიო;

<sup>33</sup> იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის 1-ლი ნაწილი. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge> [20.05.2019];

მითითებული მუხლის მიზნებისათვის არსებით პირობებზე შეთანხმება უნდა მოხდეს ნამდვილი ოფერტითა და ნამდვილი აქცეპტით. აქედან გამომდინარე ცალსახაა, რომ ხელშეკრულება იდება, ორი თანმხვედრი ნების გამოვლენის — ოფერტის და აქცეპტის მეშვეობით. სწორედ ოფერტის აქცეპტირება ანუ ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების დადების შეთავაზებაზე წინადადების გაკეთება და მეორე მხარის მიერ მასზე თანხმობა არის ხელშეკრულების დადების სამართებრივი საფუძველი. თუმცა არსებობს ისეთი შემთხვევები, როდესაც მხარეები სხვაგვარად ავლენენ ხელშეკრულების დადების ნებას და ეს უკანასკნელი კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით შეგვიძლია მივიჩნიოთ ნამდვილ ოფერტად და ნამდვილ აქცეპტად.<sup>34</sup>

ხელშეკრულება არ დაიდება თუ მხარეებს არ სურთ ამ ხელშეკრულების შესრულების შემდგომ სარგებლის მიღება. ამიტომ სავარაუდოა, რომ ხელშეკრულების ჯეროვანი შესრულების შემდგომ მხარეები მიიღებენ სარგებელს ამ ხელშეკრულების საფუძველზე.<sup>35</sup> მაგალითად თუ უძრავი ქონების გამყიდველს სურს ფულის მიღება, ხოლო მყიდველს უძრავი ნივთის შექმნა, ისინი დებენ ნასყიდობის ხელშეკრულებას და ამ ხელშეკრულების საფუძველზე იღებენ სარგებელს, ანუ აღწევენ იმ მიზანს, რომელიც თავიდანვე გააჩნდათ. შესაბამისად როდესაც ხელშეკრულების განმარტება გახდება საჭირო, გათვალისწინებულ უნდა იქნას ის ეკონომიკური შედეგი, რომელიც ხელშეკრულების მიმართ მხარეებს გააჩნიათ. სტანდარტულ პირობებთან, რომ გავავლოთ პარალელი, შეგვიძლია ვთქვათ, სასამართლოს მიერ ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრისას დადგენილ უნდა იქნეს მხარის ინტერესი ხელშეკრულების მიმართ ანუ ის შედეგი რისი მიღწევაც მას ხელშეკრულების დადებით სურდა.

---

<sup>34</sup>ჭანტურია ლ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გამომცემლობა სამართალი, თბილისი 2001, გვ 86;

<sup>35</sup> შენგელია ი. სახელშეკრულებო თავისუფლება, როგორც სამოქალაქო სამართლის პრინციპი, არსი და მნიშვნელობა, "ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი" N4 (23) 9, თბილისი 2009, გვ 46;



## 2.2 შინაარსის განსაზღვრის თავისუფლება, როგორც სახელშეკრულებო თავისუფლების უმთავრესი გამოვლინება.

შინაარსის განსაზღვრის თავისუფლება ხელშეკრულების თავისუფლების უმთავრესი ელემენტია, ვინაიდან სწორედ შინაარსის თავისუფლების ფარგლებში ათანხმებენ მხარეები ყველა სახელშეკრულებო პირობას, რომელიც თავის მხრივ გამოყენებადია, როგორც სასამართლოს, ასევე სხვა კომპეტენტური ორგანოების მიერ დავის გადაწყვეტის დროს. შინაარსის განსაზღვრის თავისუფლება უზრუნველყოფს სახელშეკრულებო სამართლიანობის მიღწევას, ვინაიდან სახელშეკრულებო პირობათა განსაზღვრა მხარეთა თანასწორუფლებიანობის საწყისებზე ხდება.

სახელშეკრულებო პირობათა განსაზღვრის ფარგლებში, მხარეები უფლებამოსილნი არიან, ხელშეკრულებაში ჩადონ ისეთი პირობები, რომლებსაც კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, თუმცა ასეთ შემთხვევაში მხარეები შეზღუდულნი არიან ამკრძალავი ხასიათის იმპერატიული ნორმებით.

შინაარსის თავისუფლება წარმოადგენს მხარეთა მიერ „სამართლის ნორმის“ ირიბი არჩევანის შესაძლებლობასაც, გამომდინარე იქედან, რომ შემდგომში თითოეული პირობა სამართლებრივი შედეგის მომტანია.<sup>36</sup> მიუხედავად უამრავი სამართლებრივი ნორმის არსებობისა, რომელიც დისპოზიციური თუ იმპერატიული სახით არსებობს, მხარეებს შინაარსის თავისუფლება უფრო მეტი აქვთ ვიდრე შეზღუდვა.<sup>37</sup> შინაარსის განსაზღვრის თავისუფლება არ წარმოადგენს აბსოლიტური ხასიათის ცნებას გამომდინარე იქედან, რომ თავად კანონი ზღუდავს მხარეებს ისეთი სახის პირობების ჩამოყალიბების შესაძლებლობისაგან, რომლებიც წინააღმდეგობაშია იმ ძირითად სამართლებრივ ნორმებთან, რომლებიც სამოქალაქო სამართლის ფუნდამენტურ საკითხებს

---

<sup>36</sup> ჯორბენაძე ს. ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2016. გვ 136.;

<sup>37</sup> იქვე.

იმპერატიულად აწესრიგებენ. რა თქმა უნდა, შინაარსის განსაზღვრის თავისუფლების შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზანს, სამოქალაქო ურთიერთობებში მონაწილე მხარეების ინტერესებისა და უფლებების დაცვა წარმოადგენს. ამ მხრივ მნიშვნელოვანია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319 მუხლი, რომელიც ბაზარზე დომინირებულ მდგომარეობაში მყოფ სუბიექტს, უკრძალავს მომხმარებელს შესთავაზოს ხელშეკრულების არათანაბარი პირობები.<sup>38</sup> შინაარსის განსაზღვრის შეზღუდვის კლასიკური მაგალითია ხელშეკრულების სტანდარტული პირობები, რომლებითაც კანონმდებელი ავალდებულებს შემთავაზებელს გაითვალისწინოს მომხმარებლის კანონიერი ინტერესები და არ ჩადონ სტანდარტულ პირობებში ნდობისა და კეთილსინდისიერების საწინააღმდეგო პირობები.

შინაარსის განსაზღვრისას აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მხარეთა უფლებაა თავადვე დაასათაურონ ხელშეკრულება, თუმცა დადგენილი სამართლებრივი პრაქტიკის მიხედვით, სათაურს არ გააჩნია არსებითი მნიშვნელობა. ხელშეკრულების განმარტებისას აუცილებელია დადგინდეს მხარეთა ნება.<sup>39</sup> აღნიშნული გარემოება კიდევ ერთხელ უსვავს ხაზს შინაარსის განსაზღვრის თავისუფლების პრაქტიკულ მნიშვნელობას.

სახელშეკრულებო ურთიერთობებში ხშირია შემთხვევები, როდესაც მხარეები სამოქალაქო კოდექსის კონკრეტულ ნორმებს პირდაპირ არ უთითებენ ხელშეკრულებაში, რაც რა თქმა უნდა, მართებულია, ვინაიდან სახელშეკრულებო პირობით უნდა მოხდეს კანონის ნორმის დაკონკრეტება ან დისპოზიციური ნორმის შემთხვევაში განსხვავებული მოწესრიგების დადგენა.

ყოველივე ზემოთხსენებული გარემოებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ: „შინაარსის თავისუფლება კანონში განსაზღვრული

---

<sup>38</sup> იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის 1-ლი ნაწილი. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge> [19.05.2019];

<sup>39</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 12 მარტის N ას-147-141-2012 გადაწყვეტილება;

მოწესრიგების განვრცობის კანონიერ წინაპირობას წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც, მხარეები თავად განსაზღვრავენ სამართლებრივ შედეგებსა და პასუხისმგებლობის იმ წინაპირობებს, რაც ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის იქნება გათვალისწინებული<sup>40</sup>.

სწორედ შინაარსის განსაზღვრის თავისუფლების ნაწილშია კონფლიქტი სახელშეკრულებო თავისუფლებასა და ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს შორის, გამომდინარე იქედან, რომ ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს ადგენს ეგრედწოდებული „ძლიერი მხარე“ და სთავაზობს პოტენციურ კონტრაქტს, ისე რომ ამ უკანასკნელს არ გააჩნია შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს სახელშეკრულებო პირობების განსაზღვრაში.

---

<sup>40</sup> ჯორბენაძე ს. ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2016. გვ 143;

### თავი III. ხელშეკრულების სტანდარტული პირობების მნიშვნელობა და არსებობის ლეგიტიმური მიზნები

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში მხარეები, ხელშეკრულების შინაარსის ერთმანეთთან შეთანხმების რთული და მამტაბური მოლაპარაკებების თავიდან აცილების მიზნით, სახელშეკრულებო ურთიერთობებს ერთმანეთთან ამყარებენ სტანდარტული პირობების გამოყენებით. ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს ერთი მხარე, შემთავაზებელი, უდგენს მეორე მხარეს, სწორედ აქ ჩნდება რისკი იმის, რომ შესაძლოა შეილახოს სუბიექტის უფლება, თავისუფლად განსაზღვროს ხელშეკრულების შინაარსი<sup>41</sup>.

ტრადიციული განსაზღვრებიდან გამომდინარე, ხელშეკრულების დადების დროს, თითოეული სახელშეკრულებო პირობა განსაზღვრული უნდა იყოს მხარეთა მიერ ინდივიდუალურად, თუმცა საყოველთაოდ ცნობილია, რომ ძალიან ცოტაა ისეთი ხელშეკრულებები, რომელთა პირობებიც მხარეთა შორის დეტალურად თანხმდება. ხელშეკრულებების უმრავლესობაში სახელშეკრულებო პირობათა ნაწილი სტანდარტული დებულებებითაა განსაზღვრული. ამ მხრივ პრობლემურია შინაარსის განსაზღვრის ცალმხრივობა, აქ იგულისხმება ის, რომ ამგვარი პირობები შედგენილია ერთი მხარის მიერ და რაც მთავარია, მის ადრესატს არ გააჩნია შესაძლებლობა ცვლილებები შეიტანოს მასში. აღნიშნულ პრივილეგიას, ხშირ შემთხვევაში, შემთავაზებელი იყენებს საკუთარი ინტერესების გასატარებლად ისე, რომ საერთოდ არ ითვალისწინებს ხელშეკრულების მეორე მხარის კანონიერ ინტერესებს. სწორედ ამგვარი უარყოფითი შედეგების აღმოფხვრას ემსახურება ის საკანონმდებლო ნორმები, რომლებიც აწესებენ მოქმედების ერთგვარ ჩარჩოებს და ბათილად მიიჩნევენ ყველა იმ პირობას, რომელთა შინაარსიც დადგენილ ფარგლებს სცდება.<sup>42</sup>

<sup>41</sup> რუსიაშვილი გ. სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, *gccc.ge*, 05.06.2015, მუხ. 342, ველი 1;

<sup>42</sup> უილკემსონი თ, *სტანდარტული ფორმის პირობები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის თარგმანები, ქართული სამართლის მიმოხილვა, 2011-2012*;

აღსანიშნავია, რომ სტანდარტული პირობების მოწესრიგების საკითხი კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს საბაზრო ეკონომიკის განვითარებასთან ერთად, ვინაიდან იზრდება ხელშეკრულებათა რაოდენობა, სწორედ ამიტომ თანამედროვე სამართლის სისტემებისათვის მნიშვნელოვანია ეკონომიკურ კომერციალიზაციას დაუპირისპიროს იმგვარი სამართლებრივი წესრიგი, რომლებიც დაიცავს „სუსტი“ მხარის ინტერესებს, თუნდაც ეს „ძლიერი“ მხარის უფლებების შეზღუდვისა და მისთვის დამატებითი პასუხისმგებლობის შემოღებაში გამოიხატოს. განსაკუთრებით ეს ეხება სტანდარტული პირობებით დადებულ ხელშეკრულებებს მომხმარებლებთან, სადაც შეიმჩნევა სახელშეკრულებო რისკების კლიენტებზე გადაკისრების ტენდენციები<sup>43</sup>.

ხელშეკრულების სტანდარტული პირობები კონტრაქტის შინაარსის განმსაზღვრელია, მათი არსებობა ობიექტურადაა გამართლებული, მათში აისახება ის შინაარსი, რომლითაც შემთავაზებელს სურს დადოს ხელშეკრულება და მათ სხვადასხვა ფორმებით სთავაზობს მომხმარებლებს.<sup>44</sup>

როგორც უკვე აღინიშნა, სახელშეკრულებო თავისუფლების ერთ-ერთი გამოხატულებაა ის, რომ სამოქალაქო ურთიერთობაში მონაწილე პირმა თავად გადაწყვიტოს დადოს თუ არა ხელშეკრულება. ერთი შეხედვით, კერძო სამართლის სუბიექტის მიერ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების მიღება გამომდინარეობს სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპიდან და ის რისკები და სამართლებრივი შედეგები რაც თან ახლავს პირის ასეთ ქმედებას თვითონვე უნდა აიღოს თავის თავზე. თუმცა აღნიშნული მსჯელობა არ არის მართებული იმ მიზეზის გამო, რომ მომხმარებელს ხშირ შემთხვევაში მომსახურების მიღება უწევს ბაზარზე დომინირებული კომპანიისაგან, შესაბამისად მომხმარებელს უნდა გააჩნდეს ეფექტური შესაძლებლობა ცვლილებები შეიტანოს შემოთავაზებულ სახელშეკრულებო პირობებში, რაც

<sup>43</sup> თოდუა მ. ვილემსი ჰ. ვალდებულებითი სამართალი, აიწყო და დაკაბადონდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში, თბილისი 2006. გვ 42;

<sup>44</sup> ლაკერბაია თ. ზალიშვილი ვ. ზოიძე თ. მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი (ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა), შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2018, გვ 186;

ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია. სტანდარტული პირობების სამართლებრივი მოწესრიგება მომხმარებელთა უფლებების დაცვას ემსახურება, ეს საკითხი კი განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს მაშინ, როდესაც ვერ ხდება მომხმარებლის კერძო ავტონომიის სათანადო რეალიზება.

ხელშეკრულების სტანდარტული პირობების საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ელექტრონული ფორმით დადებული ხელშეკრულებების დროს, ვინაიდან ზეპირი კომუნიკაციის არარსებობის პირობებში, ინფორმაციის გაცვლის ხარისხი დაბალია. მართალია სტანდარტული პირობების შინაარსში ცვლილებების შეტანის შესაძლებლობა მის ადრესატს არ გააჩნია, თუმცა ზეპირი კომუნიკაცია შესაძლებლობას მისცემს მომხმარებელს დააზუსტოს კონკრეტული ბუნდოვანი პირობის შინაარსი და უკეთ გაანალიზოს, სურს თუ არა ხელშეკრულების დადება ამგვარი შინაარსით.<sup>45</sup>

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განმარტა: სამოქალაქო სამართალი აგებულია თანასწორობის უფლებაზე. ზოგიერთ შემთხვევაში თანასწორობის მისაღწევად გათვალისწინებულია იმ სუბიექტთა წრე, რომელთაც გააჩნიათ მომეტებული სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა სხვა პირებთან შედარებით. აღნიშნული პასუხისმგებლობის ნაწილია მეწარმე სუბიექტის უფლებრივი შეზღუდვა სტანდარტულ პირობებთან მიმართებით, ამ მხრივ სამოქალაქო კოდექსი ამკრძალავი ნორმების მეშვეობით ზღუდავს მეწარმის მცდელობას, სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელი მთელი რისკი, გადაიტანოს იმ სუბიექტზე, რომელიც არ არის დაკავებული სამეწარმეო საქმიანობით.<sup>46</sup>

ხელშეკრულების სტანდარტული პირობების მარეგულირებელი ნორმების ქართულ კანონმდებლობაში, კერძოდ კი საქართველოს სამოქალაქო კოდექსში

---

<sup>45</sup> ლაკერბაია თ. ხელშეკრულების უარყოფის უფლება: ქართული და ევროპული სახელშეკრულებო სამართლის შედარებითი ანალიზი, დისერტაცია, თბილისი 2016, გვ 181;

<sup>46</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 25 ნოემბრის N ას-611-837-08 გადაწყვეტილება;

ასახვა მიზნად ისახავს მომხმარებელთა უფლებების დაცვას, რომლებიც მიიჩნევიან სახელშეკრულებო ურთიერთობების „სუსტ მხარედ“.

ტერმინი „სუსტი მხარის“ განსაზღვრისას უნდა გავითვალისწინოთ კონტრაქტის არათანაბარი შესაძლებლობები სახელშეკრულებო მოლაპარაკებების პროცესში. როგორც უკვე ავლნიშნე პრაქტიკაში ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც სახელშეკრულებო პირობების განსაზღვრა არ ხდება რთული მოლაპარაკებების მეშვეობით. ზოგჯერ სახელშეკრულებო ურთიერთობის ერთ-ერთი მხარე თავისი ეკონომიკური შესაძლებლობით იმდენად აღემატება მეორე მხარეს, რომ მას სრულიად თავისუფლად შეუძლია თავს მოახვიოს ის პირობები, რომლებიც მისთვისაა მისაღები. აქვე გასათვალისწინებელია ისიც რომ, როგორც წესი ბაზარზე მოთხოვნა აღემატება შემოთავაზებას, ამიტომ მომხმარებელს ხშირ შემთხვევაში არ გააჩნია შესაძლებლობა ისარგებლოს სხვა მომსახურებით. ამასთან ერთად, ასეთ შემთხვევებში, მას არ გააჩნია შესაძლებლობა ისარგებლოს სახელშეკრულებო თავისუფლებით და ცვლილებები შეიტანოს უკვე დადგენილ სახელშეკრულებო პირობებში. შესაბამისად სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე „სუსტ მხარედ“ მიიჩნევა ისეთი პირი, რომელსაც თავისი სამართლებრივი სტატუსიდან და სხვა ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე არ გააჩნია იმის შესძლებლობა, რომ სათანადოთ განახორციელოს მისთვის კანონით მინჭებული უფლებები.<sup>47</sup>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მომხმარებელთა უფლებებს სახელობით არ მოიხსენიებს თუმცა, განსაზღვრავს არაერთ ნორმას, ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ბათილად ცნობასთან დაკავშირებით, რომლებიც თავის მხრივ იცავენ მომხმარებელთა უფლებებს ხელშეკრულებაში უსამართლო პირობების ჩადებისაგან. შესაბამისად იმის გათვალისწინებით, რომ სტანდარტული პირობების სამართლებრივი მოწესრიგების მიზანი, იმ პირთა

---

<sup>47</sup> Цвайгерт/Кёти, Введение в сравнительное правоведение в сфере частного права, Т. II. 1998, М., с. 16. მითითებულია: იოსელიანი ა. მოქნილი მეთოდის უპირატესობა ხისტ მეთოდთან შედარებით სახელშეკრულებო საკოლიზიო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2010, გვ 104;

უფლებების დაცვაა, რომლებსაც არ შეუძლიათ შეიტანონ ცვლილებები ხელშეკრულების შინაარსში, ხელშეკრულებების სტანდარტული პირობები შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლის ნაწილი. თავის მხრივ მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი, იმ სამართლის ნორმათა ერთობლიობას გულისხმობს, რომელიც განსაზღვრავს ინფორმაციის მიღების უფლებას და უზრუნველყოფს არაკეთილსინდისიერი საბაზრო წესებისაგან მომხმარებელთა დაცვას, ეს კი მიიღწევა მკაცრი რეგულირების შემოღებით, რაც, ძირითადად, იმპერატიული ხასიათის ნორმებში ვლინდება. ამის შედეგია ისიც, რომ მომხმარებელთა ინტერესების დაცვის მიზნით შეზღუდულია მეწარმეთა უფლება თავისუფლად, მხოლოდ საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით განსაზღვრონ ხელშეკრულების შინაარსი.<sup>48</sup>

ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს ეთმობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 342-348 მუხლები. ნორები განსაზღვრავენ, როგორც ხელშეკრულების სტანდარტული პირობების კონტრაქტის ნაწილად გადაქცევის სავალდებულო კრიტერიუმებს, ასევე ხელშეკრულებით უკვე განსაზღვრული პირობების ბათილობის სამართლებრივ საფუძვლებს. სამართლებრივი დოქტრინიდან გამომდინარე ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს სტანდარტული პირობების კანონიერების ორი ფორმა, ესენია: სტანდარტული პირობების ფორმალური და მატერიალური კანონიერება. ფორმალური კრიტერიუმები გულისხმობს იმის დადგენას არსებობს თუ არა სტანდარტული პირობების ხელშეკრულებაში ჩართვის სავალდებულო წინაპირობები, ხოლო მატერიალურ კანონიერებაში იგულისხმება სტანდარტული პირობების შინაარსობრივი შემოწმება, რათა დადგინდეს ხომ არ არსებობს ბათილობის კანონიერი საფუძვლები.<sup>49</sup>

---

<sup>48</sup> Von Bar, C., *A Common Frame of Reference for European Private Law - Academic Efforts and Political Realities*, *Electronic Journal of Comparative Law*, Vol., 12.1 (May 2008), 6. ხელმისაწვდომია: <https://www.ejcl.org> [10.06.2019];

<sup>49</sup> კაკოიშვილი დ. ხელშეკრულების სტანდარტული პირობები, *ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა*, II გამოცემა, თბილისი 2013, გვ 73;



დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ ხელშეკრულების სტანდარტული პირობები ემსახურება, სახელშეკრულებო ურთიერთობათა დამყარების გაადვილებას, ამასთან არსებობს რისკები, იმის რომ სტანდარტული პირობების გამოყენებით მოხდეს „სუსტი მხარის“ უფლებებისა და ინტერესების არამართლზომიერი შეზღუდვა, ამიტომ კანონმდებლობაში არსებული ნორმები სტანდარტული პირობების ბათილობის საფუძვლებისა და გამოყენების ფარგლების დადგენით იცავს მომხმარებელთა უფლებებს.

### 3.1 ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ცნების ელემენტები

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 342-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, „ხელშეკრულების სტანდარტული პირობები არის წინასწარ ჩამოყალიბებული, მრავალჯერადი გამოყენებისათვის გამიზნული პირობები, რომელთაც ერთი მხარე (შემთავაზებელი) უდგენს მეორე მხარეს და რომელთა მეშვეობითაც უნდა მოხდეს კანონით დადგენილი ნორმებისაგან განსხვავებული ან მათი შემცობი წესების დადგენა“<sup>50</sup>. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით პირობები, რომლებიც მხარეებმა ინდივიდუალურად შეათანხმეს, აღარ მიიჩნევა სტანდარტულად.<sup>51</sup>

როგორც თავად მუხლის დისპოზიციიდან ირკვევა, სახელშეკრულებო პირობის სტანდარტულად მიჩნევისათვის აუცილებელია შემდეგი ნიშნების არსებობა: „1. სტანდარტული პირობები არის სახელშეკრულებო პირობები; 2. სტანდარტული პირობები არის წინასწარ ჩამოყალიბებული პირობები; 3. სტანდარტული პირობები არის მრავალჯერადი გამოყენებისათვის გამიზნული პირობები; 4. სტანდარტულ პირობებს ერთი მხარე (შემთავაზებელი) უდგენს

<sup>50</sup> იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 342-ე მუხლის 1-ლი ნაწილი. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/>[20.06.2019];

<sup>51</sup> იქვე;

მეორე მხარეს; 5. სტანდარტული პირობებით უნდა მოხდეს კანონით დადგენილი ნორმებისაგან განსხვავებული ამ მათი შემგვები წესების დადგენა“.<sup>52</sup>

მანამდე სანამ თითოეულ პირობას დეტალურად განვიხილავთ, საინტერესოა სტანდარტული პირობების ცნების განმარტება სხვადასხვა სამართლებრივი სისტემების მიხედვით.

ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს არეგულირებს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის § 305 (1) მუხლი, რომლის მიხედვითაც, „ხელშეკრულების სტანდარტული პირობები არის წინასწარ ჩამოყალიბებული, მრავალი ხელშეკრულებისათვის გამიზნული პირობები, რომლებსაც ხელშეკრულების ერთი მხარე (შემთავაზებელი) წარუდგენს მეორე მხარეს ხელშეკრულების დადებისას“<sup>53</sup>. გამომდინარე იქედან, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, გერმანული სამოქალაქო კოდექსის რეცეფციას წარმოადგენს, ქართული და გერმანული კოდექსების დებულებები სტანდარტულ პირობებთან მიმართებით თითქმის იდენტურია. თუმცა გერმანული სამოქალაქო კოდექსის კომენტარებში აქცენტი გადატანილია სტანდარტული პირობებისა და სხვა არამბოჭავი პირობების, მაგალითად რეკომენდაციების, გამიჯვნის აუცილებლობაზე. ასევე გერმანული კოდექსის მიზნებისათვის პირობები მხოლოდ მაშინ მიიჩნევა სტანდარტულად, თუ იგი გამიზნულია „დიდი ოდენობით“ გამოყენებისათვის, ასეთ შემთხვევასთან კი მაშინ გვაქვს საქმე თუ ისინი სამჯერ მაინც არის გამოყენებული. გერმანული კანონმდებლობა ავალდებულებს შემთავაზებელს მომხმარებელს წარუდგინოს სტანდარტული პირობებით შედგენილი კონტრაქტი. გერმანული კანონმდებლობის მიხედვით აუცილებელია სტანდარტული კონტრაქტის წარდგენასა და სახელშეკრულებო მოლაპარაკებებს შორის ტოლობის ნიშანი არ დაისვას, ვინაიდან სახელშეკრულებო

---

<sup>52</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 10 სექტემბრის N ას-755-811-2011 გადაწყვეტილება;

<sup>53</sup> კროპჰოლერი ი. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, დაბეჭდილია საიას იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდის მიერ GIZ-ის დავალებით, თბილისი 2014, გვ 185;

მოლაპარაკებები გულისხმობს მოლაპარაკებათა იმ სტანდარტს, რომელიც არ შეიძლება დაწესდეს სტანდარტული პირობების წარდგენისას. გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ, ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა: შემთავაზებელმა მომხმარებელს უნდა წარუდგინოს სტანდარტული პირობები და ამასთან ერთად უნდა განუმარტოს მათი შინაარსი, რათა მისთვის უკეთესად იყოს აღქმადი სტანდარტული პირობების სამართლებრივი შედეგები.<sup>54</sup> საინტერესოა, რომ გერმანული ვალდებულებითი სამართლის რეფორმის შემდგომ გაუქმდა სპეციალური კანონი, რომელიც შეეხებოდა ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს, შესაბამისად ამ სფეროს მომწესრიგებელი ნორმები მხოლოდ სამოქალაქო კოდექსით განისაზღვრა. გერმანიამ მოახდინა საერთაშორისო აქტების იმპლემენტაცია შიდა კანონმდებლობაში.<sup>55</sup>

სტანდარტული პირობები სახელშეკრულებო პირობებია. აღნიშნულ საკითხზე ყურადღება უნდა გამახვილდეს გამომდინარე იქედან, რომ ხელშეკრულების სტანდარტული პირობები ყოველთვის ხელშეკრულების ნაწილად მიიჩნევა, მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ხელშეკრულების სტანდარტული პირობები ტექნიკურად განცალკევებულია არსებითი პირობებისაგან.<sup>56</sup>

სტანდარტული პირობები წინასწარ ჩამოყალიბებული სახელშეკრულებო დებულებებია. აუცილებელია აღინიშნოს, რომ სტანდარტული პირობები, არ ყალიბდება უშუალოდ მოლაპარაკების პროცესში, სტანდარტული პირობები არსებობს სახელშეკრულებო ურთიერთობის დამყარებამდე და შეთავაზებულია ყველა მომხმარებლისათვის ერთნაირად, სტანდარტული პირობების ერთიანი

---

<sup>54</sup> კროპპოლერი ი. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, დაბეჭდილია საიას იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდის მიერ GIZ-ის დავალებით, თბილისი 2014, გვ 186;

<sup>55</sup> კაკოიშვილი დ. ხელშეკრულების სტანდარტული პირობები, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა II გამოცემა, თბილისი 2013, გვ 71;

<sup>56</sup> ძლიერიშვილი ზ. ცერცვაძე გ. რობაქიძე ი. სვანაძე გ. ცერცვაძე ლ. ჯანაშია ლ. სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2014, გვ 204;

წესით.<sup>57</sup> აქვე უნდა აღინიშნოს შემთავაზებლის მიზანი, მის მიერ წინასწარ შედგენილი პირობები გამოიყენოს, როგორც სტანდარტული დებულებები.

სტანდარტული პირობები არის მრავალჯერადი ხასიათის პირობები. მრავალჯერადი გულისხმობს სტანდარტული პირობების გამოყენების არაერთჯერად ხასიათს. მნიშვნელოვანია, რომ მრავალჯერადობაში იგულისხმება არა ასეთი პირობების გამოყენების მრავალჯერადობა, არამედ მრავალჯერადად გამოყენების შესაძლებლობა.<sup>58</sup> აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ შემთავაზებელი სახელშეკრულებო პირობებს ადგენს წინასწარ განსაზღვრული პირთა წრის მიმართ, ეს აღარ მიიჩნევა ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებად, გამომდინარე იქედან, რომ პირობების სტანდარტულად მიჩნევის საფუძველია პირთა განუსაზღვრელი წრის არსებობა და ამ პირობების იდენტურად გამოყენება მათთან დამყარებულ სამართლებრივ ურთიერთობებში. საყურადღებოა, რომ მხარეთა შეთანხმების საფუძველზე სტანდარტულ პირობებში ცვლილებების შეტანა, სტანდარტულ პირობებს გადააქცევს არსებით პირობებად. კანონში არსებული ტერმინი მრავალჯერადი გულისხმობს ამგვარი პირობების გამოყენების შესაძლებლობას ორჯერ ან მეტჯერ.<sup>59</sup>

სტანდარტულ პირობებს ერთი მხარე, შემთავაზებელი, უდგენს მეორე მხარეს. ასევე სტანდარტული პირობებით უნდა მოხდეს კანონით დადგენილი ნორმისაგან განსხვავებული ან მათი შემკსები წესების დადგენა. კანონით დადგენილ ნორმაში, რა თქმა უნდა, მოაზრება კანონის დისპოზიციური ნორმები, რომლებიც შესაძლებელია შეიცვალოს მხარეთა შეთანხმების საფუძველზე. კანონის იმპერატიული ნორმების შეცვლა მხარეთა შეთანხმებით დაუშვებელია და ასეთი შეთანხმება მისი ბათილად ცნობის საფუძველს

---

<sup>57</sup> კაკოიშვილი დ. ხელშეკრულების სტანდარტული პირობები, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, II გამოცემა, თბილისი 2013, გვ 74;

<sup>58</sup> ძლიერიშვილი ზ. ცერცვაძე გ. რობაქიძე ი. სვანაძე გ. ცერცვაძე ლ. ჯანაშია ლ. სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2014, გვ 204;

<sup>59</sup> ჯორბენაძე ს. ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2016. გვ 191;

წარმოადგენს, განურჩევლად იმისა ეს პირობები განსაზღვრულია ხელშეკრულების არსებითი თუ სტანდარტული პირობებით.<sup>60</sup>,

კანონმდებლობა არ ადგენს სპეციალურ წესს იმის თაობაზე, თუ რა სახით შეიძლება ჩამოაყალიბოს სტანდარტული პირობა შემთავაზებელმა. ასევე არ აქვს მნიშვნელობა აღნიშნული პირობა იქნება ძირითად ხელშეკრულებაშივე ჩამოყალიბებული, თუ ის ცალკე განცხადების სახით იქნება წარმოდგენილი. მთავარია ის რომ, ასეთ პირობას ხელშეკრულების ერთი მხარე სთავაზობდეს მეორეს და ამასთან, მეორე მხარეს არ გააჩნდეს შესაძლებლობა ცვლილებები შეიტანოს მასში. ამ კუთხით მომხმარებლის უფლება, სახელშეკრულებო თავისუფლებიდან გამომდინარე, ხელშეკრულების დადება ან დადებაზე უარის თქმაში გამომდინარეობს.<sup>61</sup>

### 3.2 სტანდარტული პირობების ხელშეკრულებაში ჩართვის

#### პირობები, როგორც „სუსტი მხარის“ ნების ავტონომიის დაცვის გარანტი

როდესაც ხელშეკრულების სტანდარტული პირობებისა და სახელშეკრულებო თავისუფლების ურთიერთმიმართებაზე ვსაუბრობთ, აუცილებელია აღინიშნოს ის სამართლებრივი მექანიზმები, რომლებიც კანონმდებლობაში ჩადებულია და ემსახურება, იმ სახელშეკრულებო მხარის ინტერესების დაცვას, რომლებიც არ იღებენ მონაწილეობას შინაარსის განსაზღვრაში. როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა ნაშრომში, სახელშეკრულებო თავისუფლების ნაწილი შინაარსის

---

<sup>60</sup> ძლიერიშვილი ზ. ცერცვაძე გ. რობაქიძე ი. სვანაძე გ. ცერცვაძე ლ. ჯანაშია ლ. სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2014, გვ 204;

<sup>61</sup> Zerres, *Principals of the German Law on Standard Terms of Contract*. მითითებულის - ძლიერიშვილი ზ. ცერცვაძე გ. რობაქიძე ი. სვანაძე გ. ცერცვაძე ლ. ჯანაშია ლ. სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2014, გვ 205;

განსაზღვრასთან ერთად პირის უფლებაა დადოს ან არ დადოს ხელშეკრულება. როდესაც ვსაუბრობთ ხელშეკრულების დადების დისკრეციაზე მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს ინფორმირებულობას. სწორედ ამ მიზნით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 343-ე მუხლი განამტკიცებს იმ პირობათა ერთობლიობას, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც იქნება შესაძლებელი სტანდარტული პირობების ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად მიჩნევა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 343-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით: „ხელშეკრულების სტანდარტული პირობები მხოლოდ მაშინ იქცევა მათ შემთავაზებელსა და ხელშეკრულების მეორე მხარეს შორის დადებული ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად, როცა: ა) შემთავაზებელი ხელშეკრულების დადების ადგილას თვალსაჩინო წარწერას გააკეთებს და მიუთითებს ამ პირობებზე და ბ) ხელშეკრულების მეორე მხარეს შესაძლებლობა აქვს გაეცნოს ამ პირობების შინაარსს და, თუ თანახმაა, მიიღოს ეს პირობები“.<sup>62</sup>

ზემოთხსენებული პირობები თავისი ხასიათის მიხედვით კუმულაციურ წინაპირობებს წარმოადგენს, რაც ნიშნავს იმას, რომ სამართლებრივი შედეგის მიღწევისათვის აუცილებელია ორივე პირობის ერთობრივად არსებობა.

მითითების თვალსაჩინოება გულისხმობს იმას, რომ კონტრაქტს შეეძლოს თავისუფლად გაეცნოს და აღიქვას ხელშეკრულების სტანდარტული პირობები. სტანდარტული პირობები შესრულებული უნდა იყოს იმ ენაზე, რომელზედაც თავად ხელშეკრულება იდება. სტანდარტული პირობების არსებობაზე შემთავაზებელმა უნდა მიუთითოს ხელშეკრულების დადებამდე, შემდგომი მითითება აღარ ჩაითვლება სტანდარტული პირობის შეთავაზებად. ხელშეკრულების სტანდარტული პირობები მოითხოვს იმ ფორმას რომელზედაც შესრულებულია ძირითადი ხელშეკრულება. იმ შემთხვევაში თუ იდება ეგრედწოდებული მარტივი ხელშეკრულებები არ არის საჭირო სტანდარტული პირობები იყოს ცალკე დოკუმენტის სახით შედგენილი. ამასთან აღსანიშნავია,

---

<sup>62</sup> ძლიერიშვილი ზ. ცერცვაძე გ. რობაქიძე ი. სვანაძე გ. ცერცვაძე ლ. ჯანაშია ლ. სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა "მერიდიანი", თბილისი 2014, გვ 210;

მხოლოდ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების არსებობის მითითება არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ის გახდნეს ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1-ლი ნაწილის ბ) პუნქტი აუცილებლად მიიჩნევს შინაარსის გაცნობის შესაძლებლობას. მომხმარებელს უნდა შეეძლოს სათანადო ფორმით გაცნოს ხელშეკრულებას და თუ გამოხატავს სათანადო ნებას მიიღოს ისინი. ამასთან სტანდარტული პირობების გაცნობის დადასტურებისათვის არ არის საჭირო ხელმოწერა სტანდარტულ პირობებზე, თუმცა ხელმოწერის გარეშე სტანდარტული პირობის გაცნობის ფაქტის მტკიცება გართულდება.<sup>63</sup>

მიუხედავად კანონმდებლობაში ამგვარი ჩანაწერის არსებობისა სტანდარტული პირობების გამოყენების ერთ-ერთ მიზანს, რისკების გადაკისრება წარმოადგენს, პრაქტიკულად ნებისმიერი სტანდარტული პირობის გამოყენების მიზნია ის, რომ შემთავაზებელმა გაამყაროს საკუთარი პოზიციები. მიუხედავად ყველაფრისა, შემთავაზებელი თავისუფლად ახერხებს აქციოს სტანდარტული პირობები ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად, რადგან კლიენტი როგორც წესი არ ეცნობა მას ან ის ვერ აცნობიერებს იმ შედეგებს რაც სტანდარტული პირობების მიღებას მოჰყვება შედეგად.<sup>64</sup>

აღნიშნული ნორმის მოწესრიგების მიზანს წარმოადგენს ის, რომ დადგინდეს თუ როდის უნდა ჩაითვალოს ხელშეკრულების სტანდარტული პირობები ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ნორმას გააჩნია დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ის განსაზღვრავს ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ლეგიტიმაციის მომენტს.<sup>65</sup>

---

<sup>63</sup> რუსიშვილი გ. სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, *gccc.ge*, 21.03.2017, მუხ 343 ველი 9-17;

<sup>64</sup> რუსიშვილი გ. სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, *gccc.ge*, 21.03.2017, მუხ. 342, ველი 6;

<sup>65</sup> ძლიერიშვილი ზ. ცერცვაძე გ. რობაქიძე ი. სვანაძე გ. ცერცვაძე ლ. ჯანაშია ლ. სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2014, გვ 210;

ნორმის მიზანია ხელშეკრულების „სუსტი მხარის“ ინტერესების დაცვა გამომდინარე იქედან, რომ იგი სათანადოთ, კანონით დადგენილი წესით, იყოს ინფორმირებული, იმ ნორმებთან დაკავშირებით რომლებითაც მომავალში შეიბოჭება. იმ შემთხვევაში თუ კონტრაქტის მხრიდან სახელშეკრულებო პირობების წაკითხვა არ მოხდება ეს იქნება მისივე პასუხისმგებლობის საკითხი. აქვე აღსანიშნავია საერთო სასამართლოების მიერ დადგენილი სამართლებრივი პრაქტიკა. საქართველოს საკასაციო სასამართლოს მიერ გაზიარებულ იქნა პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოების მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ ხელშეკრულებათა სტანდარტული პირობა, როგორც საერთო გამოყენების პირობა, ერთნაირად უნდა იქნას წარდგენილი მომხმარებლისათვის და მისი გადაქცევა ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად ინდენტურად უნდა ხდებოდეს ყველა შემთხვევაში. ნებიმიერი განსხვავება მხარეთა მიერ კონკრეტულ სტანდარტულ პირობაზე შეუთანხმებლობას გულისხმობს. მოცემული საქმის ძირითადი ფაქტობრივი გარემოება მდგომარეობდა იმაში, რომ შემთავაზებელმა განსხვავებული ფორმით წარუდგინა სტანდარტული პირობა მომხმარებელს, რაც ხელშეკრულების სხვა ოფისში გაფორმების ფაქტით ახსნა.<sup>66</sup>

კანონმდებლობა განსხვავებულად აწესრიგებს ისეთ შემთხვევებს. როდესაც ხელშეკრულების მეორე მხარე მეწარმე სუბიექტია. კერძოდ: სამოქალაქო კოდექსის 343-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ სახელშეკრულებო ურთიერთობაში მონაწილე მეორე მხარე მეწარმეა, სტანდარტული პირობები გადაიქცევა ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად, მაშინაც, როდესაც მას საქმიანი ურთიერთობების გათვალისწინებით, განსაკუთრებული გულისხმიერებიდან გამომდინარე ეს უნდა გაეთვალისწინებინა.<sup>67</sup> აღნიშნული მიდგომა არ არის დისკრიმინაციული გამომდინარე იქედან, რომ მეწარმე სუბიექტს, თავისი სამართლებრივი სტატუსიდან და ორგანიზაციული

<sup>66</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე N ახ-368-349-2015;

<sup>67</sup> იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 343- მუხლის მე-2 ნაწილი. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/> [20.06.2019];



მოწყობიდან გამომდინარე, ევალება განსაკუთრებული გულისხმიერებისა და სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის გამოჩენა სამოქალაქო ურთიერთობებში მონაწილეობისას.

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ კანონმდებლის მიზანი, როდესაც მან შემთავაზებელს დაუდგინა ვალდებულება ინფორმაციის მიწვდასათან დაკავშირებით, ემსახურებოდა სამოქალაქო ურთიერთობაში მონაწილე პირების სახელშეკრულებო თავისუფლების განხორციელების შესაძლებლობას. მართალია ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შედგენაში მომხმარებელი არ მონაწილეობს და ამასთან ერთად არც ცვლილებების შეტანის რეალური შესაძლებლობა გააჩნია, თუმცა როგორც უკვე აღინიშნა ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის ერთ-ერთი გამოვლინება პირის უფლებაა დადოს ან არ დადოს ხელშეკრულება, რასაც ეს უკანასკნელი მხოლოდ ინფორმაციის სათანადო მიწვდის პირობებში შეძლებს.

### **3.3 უჩვეულო დებულებათა ბათილობა, როგორც მომხმარებელთა ინტერესების დაცვის გარანტი**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 344-ე მუხლით განმტკიცებული უჩვეულო დებულებების ცნება და სამართლებრივი მოწესრიგება წარმოადგენს მხარეთა ნების ავტონომიის დაცვის ერთ-ერთ საშუალებას. ნორმა იცავს მხარეს ისეთი უჩვეულო დებულებების გამოყენებისა და ხელშეკრულებაში ჩართვისაგან, რომელთა გააზრებაც მას არ შეეძლო. ნორმის მიზანი მომხმარებელთა უფლებების დაცვიდან გამომდინარეობს. იგი აწესებს ერთგვარ ჩარჩოებს შემთავაზებლისათვის, რათა მან სახელშეკრულებო პირობების შედგენისას „საშუალო მომხმარებლის“ მოლოდინი დააკმაყოფილოს. აღნიშნულ საკითხს კანონმდებლის მხრიდან იმდენად დიდი ყურადღება ეთმობა, რომ უჩვეულო დებულებებს არა ბათილად ცნობის საფუძველად, არამედ ხელშეკრულების

ნაწილად არ მიიჩნევა.<sup>68</sup> უჩვეულოდ შეიძლება მიჩნეულ იქნეს იმგვარი დებულებები, რომელთა გააზრებაც მომხმარებელს წინასწარ არ შეეძლო და მას აკისრებს დამატებით ვალდებულებებს.<sup>69</sup>

აღნიშნული ნორმა საკმაოდ პრობლემურია და მოითხოვს სიღრმისეულ განსჯას, იმასთან დაკავშირებით, თუ რა მოიაზრება უჩვეულ დებულებაში. ასევე საინტერესოა, დებულების უჩვეულოდ ცნობის საკითხის განხილვა უნდა მოხდეს კონკრეტული პირის შეხედულებების გათვალისწინებით თუ მის მდგომარეობაში მყოფი სხვა საშუალო განვითარებისა და აზროვნების ადამიანის გათვალისწინებით. ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტებიდან გამომდინარე აქ იგულისხმება კონკრეტული პიროვნება, თუმცა თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ხელშეკრულების სტანდარტული პირობები პირთა განუსაზღვრელი წრისკენაა მიმართული, გონივრული იქნება თუ ამგვარი პირობების განხილვა მოხდება სხვა საშუალო გონებრივი განვითარების მომხმარებლის გათვალისწინებით.

აღსანიშნავია, რომ ნორმის გამოყენება შესაძლებელია, არა მხოლოდ ფიზიკური პირების მიმართ, არამედ მისი განსაზღვრება შეიძლება მოხდეს იურიდიულ პირებთან მიმართებითაც.

ნორმასთან დაკავშირებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 345- მუხლის განსაზღვრებაც, რომელიც ბუნდოვანი ტექსტის მეორე მხარის სასარგებლოდ განმარტებას მოითხოვს. ნორმა აიძულებს შემთავაზებელს, მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნებიდან გამომდინარე ტექსტი ნათლად და არაორაზროვნად ჩამოაყალიბოს.<sup>70</sup> იმ შემთხვევაში თუ სტანდარტული პირობის ტექსტიდან რამოდენიმე სხადასხვაგვარი აზრი გამომდინარეონს, უპირატესობა უნა მიენიჭოს მომხმარებლისათვის ყველაზე ხელსაყრელ შინაარსს. ეს კი

<sup>68</sup> რუსიაშვილი გ. სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, *gccc.ge*, მუხლი 344, ველი 1,2;

<sup>69</sup> ჭანტურია ლ. ზოიძე ბ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გამომცემლობა სამართალი, თბილისი 2001, გვ 199;

<sup>70</sup> იქვე, გვ 192;

შეგვიძლია მივიჩნიოთ ერთგვარ საზღაურად შემთავაზებლისათვის მისივე მოქმედებებიდან გამომდინარე.<sup>71</sup> ასევე ხელშეკრულების იმ პირობებს, რომელთა განსაზღვრაც უშუალო მოლაპარაკებების შედეგად მოხდა, უპირატესობა გააჩნია სტანდარტულ პირობებთან შედარებით.

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ განხილული ნორმები მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით პოზიტიური ხასიათისაა და იცავს მხარეს ნების ავტონომიის შეზღუდვისაგან. აქვე პოზიტიურად უნდა შეფასდეს ის გარემოება, რომ მომხმარებელს, მითითებული ნორმის ფარგლებში, არ აკისრია მტკიცების მაღალი სტანდარტი. მან უნდა დაასაბუთოს მხოლოდ ის, რომ კონკრეტული სტანდარტული პირობა, უჩვეულოა ზოგადად საშუალო მომხმარებლის კრიტერიუმების გათვალისწინებით და არა, მისთვის როგორც ერთი კონკრეტული მომხმარებლისათვის. ამასთან ნორმა იძლევა ფართო ინტერპრეტირების საშუალებას და სასამართლოს ანიჭებს უფლებამოსილებას კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით გაავრცელოს ნებისმიერი შინაარსის სტანდარტულ პირობაზე.

### **3.4 ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგოპირობათა ბათილობა, როგორც მომხმარებლის სახელშეკრულებო თავისუფლების სათანადო რეალიზების საშუალება**

ხელშეკრულების სტანდარტული პირობების განსაზღვრისას შემთავაზებელი ცდილობს ერთის მხრივ გაამარტივოს ხელშეკრულების დადება, ხოლო მეორეს მხრივ კი ცდილობს, რომ ხელშეკრულებაში ჩადოს ისეთი პირობები, რომლებიც ხელსაყრელია მხოლოდ მისთვის. ეს სრულიად ბუნებრივია ვინაიდან სამეწარმეო საქმიანობის მიზანი მოგების მიღებაა. სწორედ ამიტომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 325 -ე მუხლის პირველი ნაწილი, პირს,

---

<sup>71</sup> რუსიაშვილი გ. სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, *gccc.ge*, მუხ: 342, 21.03.2017, ველი 1;

რომელმაც უნდა განსაზღვროს სახელშეკრულებო პირობები დამოუკიდებლად, კონტრაქტის მონაწილეობის გარეშე, ავალდებულებს, რომ ამგვარი განსაზღვრება მოახდინოს სამართლიანობის საფუძველზე დაყრდნობით.<sup>72</sup> მოცემული ნორმა აწესებს მოქმედების ფარგლებს. თავის მხრივ სამართლიანობა ფართო მნიშვნელობისა და ამავდროულად შეფასებითი ცნებაა. ამასთან სამართლიანობისა კეთილსინდისიერების კრიტერიუმი ერთმანეთისაგან განსხვავდება, თუმცა სამართლის ეს ნორმა გარკვეულწილად ავსებს სტანდარტული პირობების მომწესრიგებელ ნორმებს და კრძალავს, როგორც უსამართლო ასევე, არაკეთილსინდისიერი სახელშეკრულებო პირობების კონტრაქტისათვის შეთავაზებას.<sup>73</sup> ამასთან ერთად თუ გავითვალისწინებთ, რომ ბაზარზე არათანაბარი ძალის მქონე კონტრაქტებს შორის ურთიერთობისას სახელშეკრულებო თავისუფლება ვერ უზრუნველყოფს სამართლიანობას, შემთავაზებლის უფლებას თავისუფლად განსაზღვროს სახელშეკრულებო პირობები ზღუდავს კეთილსინდისიერების პრინციპი.<sup>74</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპი სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებებიდან გამომდინარეობს და მოქმედებს ნებისმიერი უფლებისა და მოვალეობის განხორციელებისას, კანონმდებელმა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 346 მუხლით ბათილად გამოაცხადა ხელშეკრულების ის სტანდარტული პირობა, რომელიც ხელშეკრულებაში ჩართვის მიუხედავად ეწინააღმდეგება ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპს და საზიანოა მეორე მხარისათვის.<sup>75</sup> აქვე უნდა

---

<sup>72</sup> იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 325-ე მუხლის 1-ლი ნაწილი. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge> [20.06.2019]

<sup>73</sup> ხუნაშვილი ნ. ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შინაარსის კონტროლი და შეზღუდვა კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი სამართლის ჟურნალი N1, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2013, გვ 273;

<sup>74</sup> იქვე.

<sup>75</sup> იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 346-ე მუხლი, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge> [20.10.2019];

აღინიშნოს, რომ ნორმა განსხვავებით შემდგომი 347-348 მუხლებისა ვრცელდება ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირზე, მიუხედავად იმისა ისინი მისდევენ თუ არა სამეწარმეო საქმიანობას.<sup>76</sup>

მართალია სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს სტანდარტული პირობების ბათილობის საფუძვლებს, თუმცა, შეუძლებელია კანონმდებელმა ნებისმიერი ამგვარი შემთხვევა გაითვალისწინოს კანონით. სწორედ ამიტომ, ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპი წარმოადგენს მოსამართლის ხელში არსებულ სამართლებრივ ბერკეტს, რათა მან მხედველობაში მიიღოს კონკრეტული სამართალურთიერთობის სპეციფიკა და ბათილად ცნოს ხელშეკრულების ის პირობები, რომლებიც ზიანის მომტანია იმ მხარისათვის რომელსაც მონაწილეობა არ მიუღია ამგვარი პირობების შედგენაში.<sup>77</sup> ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპი ადგენს ერთგვარ საზღვრებს, რომელთა ფარგლებშიც შეუძლია მეწარმე სუბიექტს იმოქმედოს.

აქვე მნიშვნელოვანია, ის თუ როგორ განიმარტება კეთილსინდისიერების პრინციპი პრაქტიკაში და რა შინაარსის სტანდარტული პირობა მიიჩნევა ნდობისა და კეთილსინდისიერების საწინააღმდეგო პირობად. ერთ-ერთ საქმეზე სადაც მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების სტანდარტულ პირობი ითვალისწინებდა, რომ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში უკან დაბრუნებას არ ექვემდებარებოდა კრედიტორის მიერ გადახდილი თანხა, საკასაციო სასამართლომ განმარტა: სახელშეკრულებო სამართალი ეფუძვნება ნების ავტონომიას, რომელიც თავის მხრივ ანიჭებს მხარეებს შესაძლებლობას განსაზღვრონ ხელშეკრულების იმგვარი შინაარსი, რომელიც მისაღებია მათთვის, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ რიგი მიზეზების გამო სამოქალაქო სამართლის სუბიექტთა უფლებრივი თანასწორობა ყოველთვის ვერ მიიღწევა, კანონმდებელმა დააწესა კეთილსინდისიერების ფარგლებში მოქმედების

<sup>76</sup> ძლიერიშვილი ზ. ცერცვაძე გ. რობაქიძე ი. სვანაძე გ. ცერცვაძე ლ. ჯანაშია ლ. სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2014, გვ 211;

<sup>77</sup> ჭანტურია ლ. ზოიძე ბ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გამომცემლობა სამართალი, თბილისი 2001, გვ 194;

ვალდებულება. ამ ვალდებულებასთან მიმართებით ნდობისა და კეთილსინდისიერების ფარგლებში მოქმედების ვალდებულების დარღვევად შეიძლება მიჩნეულ იქნეს ის, რომ პირმა რომელმაც სახელშეკრულებო მოთხოვნიდან გამომდინარე პირველად შეასრულა ვალდებულება ვერ მოითხოვოს შესრულების უკან დაბრუნება, იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მეორე მხარის მხრიდან არ/ვერ ხდება დამახასიათებელი შესრულება. საგულისხმოა, რომ საკასაციო სასამართლომ ამგვარი პირობა საერთოდ არ მიიჩნია ხელშეკრულების სტანდარტულ პირობად, ვინაიდან სტანდარტულმა პირობამ ქცევის ზოგადი წესი უნდა დაამკვიდროს და ამასთან ერთად არ უნდა შეიცავდეს ისეთ შინაარსს, რომლებიც განსხვავებულია კანონით დადგენილი ქცევის ზოგადი წესებისაგან.<sup>78</sup>

თეორიულადაც კი შეუძლებელია იმ შინაარსის სტანდარტული პირობების ამომწურავად ჩამოთვლა, რომლებიც მიიჩნევიან ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგო პირობებად. სტანდარტული პირობების შეფასება კომპლექსურად, საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით უნდა მოხდეს. თუმცა, ამ მხრივ, აღსანიშნავია საკასაციო სასამართლოს მიერ ერთმნიშვნელოვნად დადგენილი სამართლებრივი პრაქტიკა, რომელმაც იმდენად ფართოდ განმარტა კეთილსინდისიერების ცნება, რომ აღნიშნული პრინციპის დაღვევა მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლადაც კი მიიჩნია.

საკასაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი სხვადასხვა გადაწყვეტილების კომპლექსური ანალიზი გვამღებს შესაძლებლობას განვსაზღვროთ რას ნიშნავს ზოგადად კეთილსინდისიერება: სამოქალაქო კოდექსის მიხედვით კეთილსინდისიერება განიმარტება, როგორც ვალდებულების ძირითადი ნაწილი, რაც მხოლოდ ვალდებულებათა შესრულებაში არ გამოიხატება. იგი წარმოადგენს კანონით განსაზღვრულ დანაწესს და მოითხოვს სამოქალაქო

---

<sup>78</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე N ას-1064-2018;

ბრუნვაში მონაწილე პირების მიერ ერთმანეთის პატივისცემას. კეთილსინდისიერება გულისხმობს პირის მიერ საკუთარი სტატუსის უკეთ გააზრებასა და ამ სტატუსიდან გამომდინარე ქცევის ისეთ სტანდარტს, რომელიც შესაძლოა პირდაპირ არ იყოს კანონით გათვალისწინებული. კეთილსინდისიერება ქართული სამართლებრივი სისტემისათვის მატერიალური ხასიათის ნორმად იქცა, რამაც მისი მნიშვნელობა კიდევ უფრო გაზარდა. აღსანიშნავია, რომ კეთილსინდისიერება ძირითადად მორალურ სტანდარტებს გულისხმობს. ის ნიშნავს ვალდებულებებისადმი პატიოსან დამოკიდებულებასა და გულწრფელობას. კეთილსინდისიერების პრინციპის მიზანია, რომ სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებმა ერთმანეთის მიმართ სოლიდარული დამოკიდებულება გამოიჩინონ. მისი შინაარსი, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ვალდებულების არა მხოლოდ ჯეროვან არამედ კეთილსინდისიერ შესრულებასაც, რაც ნიშნავს კონტრაქტის სამართლებრივი ინტერესების გათვალისწინებასა და დაცვას. ამ მოთხოვნის დაცვა ვრცელდება, როგორც უკვე არსებულ სამართლებრივ ურთიერთობებზე ასევე წინასახელშეკრულებო ურთიერთობებზეც, ესე იგი მაშინ, როდესაც ხდება ხელშეკრულებათა პირობების შეთანხმება. ქართულ სამართლებრივ სისტემასა და სასამართლო პრაქტიკაში კეთილსინდისიერება მიჩნეულია მოქმედ სამართლად, რომელზედაც მოთხოვნის დამყარებაა შესაძლებელი. კეთილსინდისიერების მნიშვნელობა განსაკუთრებით აქტუალური ხდება მაშინ, როდესაც კონკრეტული სამართალურთიერთობის მოთხოვნები ფორმალურად კანონიერია, თუმცა მისი განხორციელება უსამართლო შედეგებს მოიტანს. შეასაბამისად კეთილსინდისიერება ემსახურება სამართლიანობის იდეას რაც, თვის მხრივ, სამოქალაქო ურთიერთობათა სტაბილურობის გარანტია.<sup>79</sup>

დადგენილი სამართლებრივი პრაქტიკის მიხედვით ნდობისა და კეთილსინდისიერების კონტექსტში განიხილება საჯარო წესრიგისა და ზნეობის

---

<sup>79</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები: N ას-1064-2018 (12.11.2018), N ას-221-213-2012 (24.07.2012), N ას-23-18-2011 (24.05.2011), N ას-528-501-2015 (04.11.2015), N ას-549-521-2015 (18.11.2015), N ას-898-848-2015 (09.03.2016);

ნორმებიც, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის მიხედვით გარიგების ბათილობის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს ამავე გარიგების წინააღმდეგობა ზნეობის ნორმებსა და საჯარო წესრიგთან.<sup>80</sup> მართალია სამოქალაქო კოდექსში არ არსებობს ნორმა, რომელიც საჯარო წესრიგისა და ზნეობის ნორმების საწინააღმდეგო სტანდარტულ პირობას მიიჩნევს ბათილად თუმცა, ვფიქრობ, თავისი შინაარსიდან და სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია ზნეობის ნორმებისა და საჯარო წესრიგის დარღვევა მივიჩნიოთ, სტანდარტული პირობების ბათილობის საფუძველად.

რა მოიაზრება ტერმინში საჯარო წესრიგი, ამ კითხვასთან დაკავშირებით იურიდიულ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. საჯარო წესრიგი ცნობილია თითქმის ყველა ქვეყნის კერძო სამართლისთვის, თუმცა მისი დეფინიცია არც დოქტრინით და არც კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული. საჯარო წესრიგი წარმოადგენს ფართო ცნებას და მასში მოიაზრება ისეთი საკითხები, როგორცაა კეთილსინდისიერება და ნდობა. საჯარო წესრიგი გულისხმობს ისეთი ხასიათის იმპერატიულ და ძირითად სამართლებრივი პრინციპებს, რომელთა დარღვევაც განიხილება არა ერთი კონკრეტული ინდივიდის ინტერესების შელახვად არამედ, ის წარმოადგენს საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესების უგულვებელყოფას.<sup>81</sup>

ამ მხრივ საინტერესოა სააპელაციო სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილება სადაც განმარტებულია, რომ საჯარო წესრიგის დარღვევად ჩაითვლება ინდივიდის ისეთი ხასიათის უფლებრივი შეზღუდვა, რომელიც არათანაზომიერი და სამართლებრივი წესრიგისთვის მიუღებელია. ამიტომ

---

<sup>80</sup> იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge> [20.06.2019];

<sup>81</sup> სტატია, არბიტრაჟის ინსტიტუტის განვითარება კერძო სამართალურთიერთობის მონაწილეთა კანონიერი ინტერესების დასაცავად, თბილისი 2012, ხელმისაწვდომია :[http://ewmi-prolog.org/images/files/3557Development\\_of\\_arbitration\\_for\\_the\\_protection\\_of\\_interests\\_of\\_private\\_part](http://ewmi-prolog.org/images/files/3557Development_of_arbitration_for_the_protection_of_interests_of_private_part) . [10.06.2019];



მართლმსაჯულების ორგანო, ვალდებულია საკითხი გადაწყვიტოს ძირითად ფასეულობებთან შესაბამისობის თვალსაზრისით.<sup>82</sup>

სამართლებრივი სახელწიფოს პრინციპის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოვლინება პირთა თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფაა. სახელმწიფოს ვალდებულებაა შექმნას ისეთი პირობები, რომელიც საზოგადოების ნებისმიერ წევრს სხვათა მიმართ მიიჩნევს თანასწორად. არნიშნული პრინციპის დარღვევა უნდა განიხილებოდეს საჯარო წესრიგის უგულვებელყოფად. იმ ფონზე, როდესაც ხელშეკრულების ერთი მხარე საკუთარ მდგომარეობას იყენებს ბოროტად და მომხმარებელს სთავაზობს პირობებს, რომელიც არსებითად ლახავს მის კონსტიტუციურ თუ სხვა ფუნდამენტურ უფლებას, წარმოადგენს საჯარო წესრიგის დარღვევას და მიუხედავად იმისა ასეთი სტანდარტული პირობა მიიჩნევა თუ არა სამოქალაქო კოდექსის მიხედვით ბათილად, სასამართლომ უნდა გააუქმოს.

ანალოგიური შეიძლება ითქვას ზნეობის ნორმებზედაც, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებას. „ზნეობის“ განმარტებას მისი ფართო, კონვენციური საზოგადოებრივი მორალის პრინციპების მნიშვნელობით და ამ უკანასკნელი პრინციპებისთვის სამართლებრივი სტატუსის მინიჭებას მნიშვნელოვანი შედეგები გააჩნია. კეთილსინდისიერების პრინციპის ფართო განმარტება საზოგადოებრივი მორალის პრინციპების მიხედვით არა მხოლოდ აფართოებს და, შესაბამისად, ცვლის კეთილსინდისიერების სამართლებრივი პრინციპის შინაარსს, არამედ ცვლის ამ უკანასკნელთა (სამართლებრივი პრინციპების) შინაარსსაც“.<sup>83</sup>

---

<sup>82</sup> სტატია, არბიტრაჟის ინსტიტუტის განვითარება კერძო სამართალურთიერთობის მონაწილეთა კანონიერი ინტერესების დასაცავად, თბილისი 2012, ხელმისაწვდომია :[http://ewmi-prolog.org/images/files/3557Development\\_of\\_arbitration\\_for\\_the\\_protection\\_of\\_interests\\_of\\_private\\_part](http://ewmi-prolog.org/images/files/3557Development_of_arbitration_for_the_protection_of_interests_of_private_part) . [10.06.2019];

<sup>83</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე N3/7/679.

ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპის პარალელურად, რომელიც შინაარსის კონტროლის ფუნქციას ასრულებს, უნდა განვიხილოთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 347-348 მუხლები. ნორმები ადგენენ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ბათილობის საფუძვლებს. ორივე მუხლი ვრცელდება მხოლოდ იმ ფიზიკურ პირებზე, რომლებიც არ მისდევენ სამეწარმეო საქმიანობას. ზოგადად ნებისმიერი სამართლებრივი ნორმის განმარტებისას მნიშვნელოვანია კანონმდებლის მიზნის/ნების დადგენა, რომელიც გააჩნდა კანონშემოქმედების დროს. ვფიქრობ, ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ის შინაარსი, რომელიც კანონის თანახმად ბათილია, წარმოადგენს იმგვარ სახელშეკრულებო პირობებს, რომელსაც საშუალო გონებრივი შესაძლებლობის ადამიანი არ დათანხმდებოდა ხელშეკრულების თავისუფლების სრული მოცულობით განხორციელება რომ შესძლებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ორივე მუხლი აწესებს ბათილობის სამართლებრივ საფუძვლებს, ისინი ერთმანეთისაგან სტრუქტურულად განსხვავებული ნორმებია. 347-ე მუხლში მოცემული დებულებები არ წარმოადგენს, სტანდარტული პირობების ბათილად ცნობის აბსოლიტურ საფუძვლებს. ნორმაში გამოყენებულია ისეთი ტერმინები, რომლებიც სასამართლომ კონკრეტულ საქმესთან მიმართებით უნდა შეაფასოს. ესეთი ტერმინებია: „შეუსაბამოდ ხანგრძლივი“, „აშკარად მცირე“ , „შეუსაბამოდ მაღალი“ და ასე შემდეგ.<sup>84</sup>

347-ე მუხლისაგან განსხვავებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 348-ე მუხლი არ შეიცავს ისეთ დებულებებს, რომლებიც სასამართლოს მხრიდან შეფასებას მოითხოვს. შესაბამისად 348-ე მუხლი შეგვიძლია სტანდარტული პირობების ბათილად ცნობის აბსოლიტურ საფუძვლად მივიჩნიოთ. ამავდროულად საგულისხმოა ის ფაქტი, რომ სტანდარტული პირობების ბათილობის სამართლებრივი საფუძვლების შემოწმება იწყება 348-ე მუხლით და

---

<sup>84</sup> იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 347-ე მუხლი. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge> [20.06.2019];

იმ შემთხვევაში თუ არ გვაქვს 348-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობა, შემდეგ ვამოწმებთ კონკრეტულ სტანდარტულ პირობას 347-ე მუხლით.<sup>85</sup>

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს შემდეგი: იმის გათვალისწინებით, რომ ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპი და სტანდარტული პირობების ბათილად ცნობის საფუძვლები ზღუდავს სახელშეკრულებო ურთიერთობის „ძლიერი მხარის“ უფლებას, თავისუფლად განსაზღვროს სახელშეკრულებო პირობები, წარმოადგენს მომხმარებლთა უფლებების დაცვის ბერკეტს, ამიტომ აღნიშნული უნდა განვიხილოთ პოზიტიურ ქრილში. სამწუხაროდ კანონმდებლობა, საჯარო წესრიგისა და ზნეობის ნორმების დარღვევას არ მიიჩნევს სტანდარტული პირობების ბათილად ცნობის სამართლებრივ საფუძვლად, თუმცა მათი ზოგადი ხასიათის შინაარსიდან და დადგენილი სამართლებრივი პრაქტიკიდან გამომდინარე შესაძლებელია მათი დარღვევა მივიჩნიოთ, სტანდარტული პირობების ბათილად ცნობის სამართლებრივ საფუძვლად. თუმცა აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ პოზიტიური სამართლის ტიპის ქვეყანაში, როგორც საქართველოც განეკუთვნება, შედარებით სუსტია სამოსამართლეო სამართლის როლი, ამიტომ ზნეობისა და საჯარო წესრიგის მომწესრიგებელ ნორმათა გამოყენება იქ სადაც ეს პირდაპირ არაა გათვალისწინებული, სჭიროებს იმგვარ დასაბუთებას, რომ მოსამართლე არ გადავიდეს საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციებში. ამიტომ, ვფიქრობ, რომ საჯარო წესრიგისა და ზნეობის ნორმების შესახებ ჩანაწერი უნდა გაკეთდეს ხელშეკრულების სტანდარტული პირობების თავში რათა, მართლმსაჯულების განმახორციელებელმა ორგანომ, შეძლოს სახელშეკრულებო თავისუფლების დაცვა კანონმდებლობის მოთოვნათა დარღვევის გარეშე.

---

<sup>85</sup> ხუნაშვილი ნ. ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შინაარსის კონტროლი და შეზღუდვა კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი სამართლის ჟურნალი NI, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2013, გვ 288-289, ხელმისაწვდომია: <http://www.library.court.ge> [10.06.2019];

## თავი IV ხელშეკრულების სტანდარტული პირობები ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის პროცესში

2014 წლის 27 ივნისს ხელი მოეწერა „ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებას“, რომელიც რატიფიცირებული იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ 2014 წლის 18 ივლისს. ასოცირების შეთანხმება სრულად ძალაში შევიდა 2016 წლის 1 ივლისიდან.<sup>86</sup>

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების საფუძველზე საქართველოსა და ევროკავშირს ურთიერთობა სრულიად სხვა ფაზაში გადავიდა. საქართველომ იკისრა ვალდებულება ასოცირების შეთანხმების დღისწესრიგის დაცვით, ეტაპობრივად, ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში უზრუნველყოს ქვეყნის შიდა კანონმდებლობის დაახლოვება ევროპულ კანონმდებლობასთან. მეტიც ქვეყანამ იკისრა ვალდებულება, რომ არამარტო ასახოს ევროპული რეგულაციები ქართულ კანონმდებლობაში, არამედ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები გაითვალისწინოს ეროვნული კანონმდებლობის ფორმირებისა, თუ შემდგომი მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში.

ევროკავშირში მოქმედებს მთელი რიგი სამართლებრივი აქტები მათგან ყველაზე მაღალ იერარქიულ საფეხურზე მისი სადამფუძვნებლო დოკუმენტები დგას, ესენია: ხელშეკრულება ევროკავშირის შესახებ (მაასტრიხტის ხელშეკრულება; ძალაშია 1993 წლიდან)<sup>87</sup> და ხელშეკრულება ევროკავშირის

---

<sup>86</sup> იხ. ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის საკანონმდებლო მაცნე, დოკუმენტი 200/42, 27/06/2014, გამოქვეყნების თარიღი 11/09/2014, სარეგისტრაციო კოდი 480610000.03.030.016275. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge> [15.06.2019];

<sup>87</sup> Treaty on European Union (Maastricht text), July 29, 1992, 1992 O.J. C 191/1 ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu> [10.05.2019];

ფუნქციონირების შესახებ (რომის ხელშეკრულება; ძალაშია 1958 წლიდან).<sup>88</sup> გარდა ამისა ევროკავშირის სამართლის წყაროებს შეადგენს: რეგულაციები, დირექტივები, გადაწყვეტილებები, რეკომენდაციები და მოსაზრებები.

ბუნებრივია, ვერცერთ სამართლებრივ სისტემაში, სამართლის ნორმები ვერ იქნება ეფექტური თუ არ იქნა მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანო, რომელიც განმარტავს ამათუიმ სამართლის ნორმას და შემდგომ ურთიერთობის დარეგულირების პროცესში გამოიყენებს მას. რა თქმა უნდა ევროკავშირში მოქმედი სამართლებრივი აქტებიც საჭიროებენ სწორ განმარტებასა და გამოყენებას. ამ მიზნით, 1952 წელს შეიქმნა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო, რომელიც თავის თავში აერთიანებს ორ სასამართლოს, ესენია: მართლმსაჯულების სასამართლო (Court of Justice) და საერთო სასამართლო (General Court). გარდა ამისა ევროკავშირის სამართალი შესაძლებლად მიიჩნევა კონკრეტული შემთხვევებისთვის შეიქმნას სპეციალური სასამართლოები.<sup>89</sup>

სახელშეკრულებო სამართლის კუთხით ევროკავშირში მოქმედებს არაერთი სამართლებრივი აქტი, რომელთა უმრავლესობაც აისახა საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებულ ასოცირების შეთანხმებაში. საქართველომ აიღო ვალდებულება სახელშეკრულებო სამართლის მარეგულირებელი ნორმები მოიყვანოს შესაბამისობაში ევროკავშირის შესაბამის აქტებთან, რომლებიც მოცემულია ასოცირების შეთანხმების „მომხმარებელთა პოლიტიკის“ თავსა და XXIX-ე დანართში. წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის მიზნებისათვის მნიშვნელობის მქონეა 1993 წლის 5 აპრილის ევროპის საბჭოს 93/13/EEC

---

<sup>88</sup> Treaty Establishing the European Economic Community, Mar. 25, 1957 ხელმისაწვდომია: <https://www.cvce.eu> [10.06.2019];

<sup>89</sup> მაისურაძე დ. სულხანიშვილი ე. ვაშაკიძე გ. ევროკავშირის კერძო სამართალი - გადაწყვეტილებები და მასალები, ნაწილი I, თბილისი 2018, გვ 23. ხელმისაწვდომია: <http://www.library.court.ge> [10.06.2019];

დირექტივა მომხმარებელთა კონტრაქტებში არასამართლიანი პირობების შესახებ.<sup>90</sup>

სანამ დირექტივის შინაარსს დეტალურად განვიხილავთ, მნიშვნელოვანია თავად დირექტივის მნიშვნელობისა და არსის განსაზღვრა. დირექტივა კლასიკური გაგებით ზემდგომი ორგანოს სახელმძღვანელო მითითებას წარმოადგენს, რომლის შესრულებაც სავალდებულოა.<sup>91</sup> დირექტივები შესასრულებლად სავალდებულო სამართლებრივ აქტებია, იმ ფარგლებში, რომელიც ამავე დირექტივით არის განსაზღვრული, ნებისმიერი ან ყველა იმ წევრი სახელმწიფოსთვის, რომელიც ამ დირექტივის ადრესატია; თუმცა, მათი შესრულების ფორმისა და მეთოდის შერჩევა თავად ამ სახელმწიფოების კომპეტენციას განეკუთვნება. ადგილობრივმა საკანონმდებლო ორგანოებმა უნდა მიიღონ აქტი ან შეიმუშაონ „ეროვნული საიმპლემენტაციო მექანიზმი“ ამ დირექტივების შიდა კანონმდებლობაში ასახვის მიზნით და უზრუნველყონ შიდა კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა დირექტივებით დადგენილ სტანდარტებთან.<sup>92</sup>

არსანიშნავია, რომ დირექტივის საფუძველზე პირს მხოლოდ მაშინ წარმოეშობა გარკვეული უფლება-მოვალეობები თუ დირექტივა ჰარმონიზებული იქნება ეროვნულ კანონმდებლობასთან. თუმცა ამ მხრივ მნიშვნელოვანია ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს პრეცედენტული სამართალი. სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ თუ დირექტივის მოთხოვნების შესაბამისი შინაარსი არ აისახა ეროვნულ კანონმდებლობაში, მიუხედავად ადრესატი სახელმწიფოს ვალდებულებისა, მაშინ მოქალაქე უფლებამოსილია მოითხოვოს კომპესაცია წევრი სახელმწიფოსაგან თუ არსებობს ერთობლივად

---

<sup>90</sup> COUNCIL DIRECTIVE 93/13/EEC of 5 April 1993 on unfair terms in consumer contracts; ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu> [20.05.2019];

<sup>91</sup> იხ: <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=11273> [20.05.2019];

<sup>92</sup> მაისურაძე დ. სულხანიშვილი ე. ვაშაკიძე გ. ევროკავშირის კერძო სამართალი - გადაწყვეტილებები და მასალები, ნაწილი I, თბილისი 2018, გვ 20. ხელმისაწვდომია: <http://www.library.court.ge> [20.05.2019];

სამი წინაპირობა: პირველი- დირექტივა მიზნათ ისახავს მოქალაქისათვის გარკვეული უფლებამოსილებების მინიჭებას, მეორე- ამ უფლებების სათანადო გაგება შესაძლებელია დირექტივის შინაარსიდან და მესამე- არსებობს მიზეზობრივი კავშირი წევრი სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულების დარღვევასა და მოქალაქის მიმართ დამდგარ ზიანს შორის.<sup>93</sup>

#### 4.1 დირექტივა სამომხმარებლო ხელშეკრულებების უსამართლო პირობების შესახებ 93/13/EEC (ქართულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის პროცესი)

1993 წლის 5 აპრილს, მიღებულ იქნა დირექტივა სამომხმარებლო ხელშეკრულებების უსამართლო პირობების შესახებ. დირექტივაში აისახა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში არსებული კანონმდებლობის ძირითადი პრინციპები, რომლებიც უკავშირდებოდა მომხმარებელთა უფლებების დაცვას არასამართლიანი სახელეკრულებო პირობებისაგან. აღსანიშნავია, რომ დირექტივა ეხება მხოლოდ ისეთი სახელშეკრულებო პირობების მოწესრიგებას, რომელიც არ არის შეთანხმებული მხარეებს შორის ინდივიდუალურად, ესე იგი დირექტივის მიზანია მოაწესრიგოს ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ხელშეკრულებაში ჩართვის საკითხები. დირექტივის პრეამბულაში მითითებულია, რომ მისი მიზანია დაწესდეს ზოგადი წესი სახელშეკრულებო პირობების უსამართლოდ მიჩნევისათვის.<sup>94</sup>

---

<sup>93</sup> ECJ, Judgement of 19 November 1991, *Andrea Francovich and Danila Bonifaci and others v Italian Republic*, Joint Cases C-6/90 and C-9/90, ECLI:EU:C:1991:428 ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu> [20.05.2019];

<sup>94</sup> COUNCIL DIRECTIVE 93/13/EEC of 5 April 1993 *on unfair terms in consumer contracts*; ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu> [15.05.2019];

დირექტივის მოთხოვნები გარკვეულწილად ცნობილია საქართველოს კანონმდებლობისათვის, ვინაიდან ევროპული კერძო სამართლის რეცეფციის შედეგად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში აისახა ის ძირითადი სტანდარტები, რომლებიც არსებობდა მისი მიღების დროს. ევროკავშირთან დადებული ასოცირების შესახებ შეთანხმების პარალელურად დაიწყო შიდა კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროპულ კანონმდებლობასთან. საქართველოს პარლამენტში ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის ინიცირებით განხილვაშია კანონპროექტი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“.<sup>95</sup> კანონპროექტის განმარტებითი ბარათის მიხედვით, მისი მიღების მიზანი მომხმარებელთა უფლებების დაცვის პოლიტიკის განსაზღვრაა. 93/13/EEC დირექტივის მიზნებისათვის მომხმარებელად მიიჩნევა ის ფიზიკური პირი, რომელიც არ მოქმედებს კომერციული საქმიანობის ფარგლებში. დაახლოვებით იგივე შინაარსის დებულება გაიწერა „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტის მე-2 მუხლში. კერძოდ კანონპროექტი აწესრიგებს იმ ფიზიკური პირის უფლებების დაცვის მექანიზმებს, რომლებიც მომსახურებას იღებენ პირადი მიზნებისათვის.<sup>96</sup>

93/13/EEC დირექტივის მესამე მუხლში აქცენტი გაკეთებულია კეთილსინდისიერების პრინციპზე და ბათილადაა გამოცხადებული ყველა ის სტანდარტული პირობა, რომელიც მიმართულია კეთილსინდისიერების პრინციპის საპირისპიროდ. დირექტივა სტანდარტულ პირობად მიიჩნევს ყველა ისეთ პირობას, რომელიც შედგენილია შემთავაზებლის მიერ და რომელზეც მომხმარებელს გავლენის მოხდენის შესაძლებლობა არ ჰქონია. გარდა ამისა მუხლში მოიპოვება საპროცესო ნორმა, რომელიც მტკიცების ტვირთს იმასთან დაკავშირებით, რომ კონკრეტული პირობა იყო ინდივიდუალურად

---

<sup>95</sup> იხ. „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge> [15.05.2019];

<sup>96</sup> იქვე. მე-2 მუხლი;



შეთანხმებული აკისრებს გამყიდველს ან მიმწოდებელს.<sup>97</sup> იდენტური შინაარსი აისახა კანონპროექტის მე-11 მუხლში. ვფიქრობ, კანონპროექტის კანონად გადაქცევის შემთხვევაში გარკვეული წინააღმდეგობა მოხდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 242-ე მუხლთან, ვინაიდან კანონპროექტი მართალია სახელობით არ მოიხსენიებს თუმცა საკმაოდ ვრცლად განმარტავს იმ პირობათა ცნებას, რომლებიც მიიჩნევიან სტანდარტულად. კანონპროექტისა და დირექტივის მიხედვით მათი მოქმედება ვრცელდება ისეთ პირობებზე, რომლებიც შედგენილია ცალმხრივად და რომლებზედაც ზემოქმედების შესაძლებლობა მომხმარებელს არ ჰქონია. აღნიშნულის პარალელურად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 242-ე მუხლი აქცენტს აკეთებს მრავალჯერადად გამოყენების შესაძლებლობაზე.

93/13/EEC დირექტივა დანართის სახით შეიცავს იმ სტანდარტული პირობების არასრულ ჩამონათვალს, რომლებიც შესაძლოა მიჩნეულ იქნეს უსამართლოდ, აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ამ პირობის შესატყვისი დებულება განსაზღვრულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 347-348 მუხლებით.

დირექტივა უსამართლოდ მიიჩნევს ისეთ პირობას, რომელიც გამორიცხავს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას. დაახლოვებით იგივე შინაარსის დებულებას განსაზღვრავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 348- ე მუხლის ვ) პუნქტი, თუმცა მითითებული ნორმა ბათილად მიიჩნევს ხელშეკრულების იმ სტანდარტულ პირობას, რომელიც უხეში გაუფრთხილებლობის შემთხვევაში გამორიცხავს შემთავაზებლის პასუხისმგებლობას. ამ მხრივ დირექტივის დებულებები მეტად ეფექტურია, თუმცა, სამწუხაროდ ისინი არ აისახა „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 93/13/EEC დირექტივის 1q პუნქტი, რომელიც უსამართლოდ მიიჩნევს ხელშეკრულების იმ სტანდარტულ პირობას, რომელიც ერთის მხრივ, მომხმარებელს უზღუდავს სასამართლოსადმი მიმართვის

---

<sup>97</sup> იხ. <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/HTML/?uri=CELEX:01993L0013-20111212&from=EN> [15.05.2019];

უფლებასა და მომხმარებლისაგან მოითხოვს დაცვის არბიტრაჟში განხილვას, ხოლო მეორეს მხრივ, ცვლის მტკიცების ტვირთის განაწილების კანონმდებლობით დადგენილ წესებს. სამწუხაროდ ამ დებულებებმა ასახვა ვერ პოვა ვერც კანონპროექტში და ვერც საქართველოს სამოქალაქო კოდექსში.

პოზიტიურად შეიძლება მივიჩნიოთ „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტის მიზნები, რომელმაც მომხმარებელთა დაცვის სტანდარტები სრულიად სხვა ხარისხში აიყვანა. კანონპროექტის მიხედვით იქმნება მომხმარებელთა უფლებების დაცვის ომბუცმენის ინსტიტუტი, რომელიც აღჭურვილია ფართო უფლებამოსილებებით. მომხმარებელთა ომბუცმენი უფლებამოსილი იქნება განახორციელოს მომხმარებელთა წარმომადგენლობის უფლებამოსილება სასამართლოებში. ასევე კანონპროექტის მიხედვით იზრდება არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობა, კანონპროექტის მე-15 მუხლის ბ) პუნქტის მიხედვით: არასამთავრობო ორგანიზაციებს ეძლევათ შესაძლებლობა „მონაწილეობა მიიღოს ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის მქონე ან სხვა შემთავაზებელსა და მომხმარებელს შორის ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში“.<sup>98</sup>

---

<sup>98</sup> იხ. „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტის მე-15 მუხლი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge> [15.05.2019];

## პრაქტიკული რეკომენდაციები

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას გავეცანი ინტერნეტ სივრცეში განთავსებულ სტანდარტული პირობებით შედგენილ ხელშეკრულებებს. ძირითადად ესენია საკრედიტო დაწესებულებების მიერ შედგენილი და შემოთავაზებული სტანდარტული პირობები. ამგვარი პირობების კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ტენდენცია, კერძოდ: გარდა მატერიალურ სამართლებრივი საკითხებისა სტანდარტული პირობებით განსაზღვრულია პროცესუალურ სამართლებრივი საკითხები, ესენია: შეთანხმება, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ შემთავაზებლის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შესახებ და შეთანხმება დავის არბიტრაჟისთვის გადაცემის შესახებ (საარბიტრაჟო დათქმა).

მაგალითად, სს „ლიბერთი ბანკის“ მომსახურების ხელშეკრულების სტანდარტული პირობების 12.2 პუნქტში ვკითხულობთ: „ბანკის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეულ იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად“.<sup>99</sup>

სს „საქართველოს ბანკის“ საკრედიტო ხელშეკრულების სტანდარტული პირობების 8.2 პუნქტში ვკითხულობთ: „ბანკის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას“.<sup>100</sup>

სს „ბანკი რესპუბლიკას“ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების 8.1 პუნქტში საარბიტრაჟო დათქმაა მოცემული, კერძოდ: მხარეთა შორის

---

<sup>99</sup> სს „ლიბერთი ბანკის“ მომსახურების ხელშეკრულების სტანდარტული პირობები, პუნქტი 12.2 ხელმისაწვდომია: <https://libertybank.ge> [18.06.2019];

<sup>100</sup> სს „საქართველოს ბანკი“ საკრედიტო ხელშეკრულების სტანდარტული პირობები, პუნქტი 8.2 ხელმისაწვდომია <https://bankofgeorgia.ge> [18.06.2019];

წარმოშობილი დავა განიხილება მუდმივმოქმედი არბიტრაჟის „დავების განხილვის ცენტრის“ მიერ<sup>101</sup>

კონკრეტული მაგალითები წარმოდგენილია საილუსტრაციოდ, ანალოგიური შინაარსია ასახული საჯარო სივრცეში განთავსებულ თითქმის ყველა ხელშეკრულების სტანდარტულ პირობაში. ვფიქრობ, საპროცესო კანონმდებლობა, რომელიც დარღვეული მატერიალური უფლების აღდგენას უზრუნველყოფს, არ უნდა გახდეს სტანდარტული პირობებით მოწესრიგების საგანი, განსაკუთრებით ეს ეხება საარბიტრაჟო დათქმას, რა დროსაც მხარეები უარს აცხადებენ მართლმსაჯულების სასამართლო წესით განხორციელებაზე. ამიტომ მართებული იქნება თუ

- შევა შესაბამის საკანონმდებლო აქტში ცვლილება და ბათილად გამოცხადდება ხელშეკრულების სტანდარტული პირობებით პროცესუალურ სამართლებრივი საკითხის მოწესრიგება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 347-348-ე მუხლები ბათილად არ მიიჩნევენ ისეთ სტანდარტულ პირობას, რომელიც შემთავაზებელს აძლევს უფლებამოსილებას, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები გადასცეს სხვა პირს მომხმარებლის თანხმობის გარეშე ისეთ შემთხვევებში, როდესაც ვალდებულების გადაცემით იზღუდება მომხმარებლის გარანტიები. ამიტომ რეკომენდირებულია:

- ცვლილებები შევიდეს სამოქალაქო კოდექსის 347-ე მუხლში და 93/13/EEC დირექტივის პირველი P პუნქტის შესაბამისად<sup>102</sup>, აიკრძალოს სტანდარტული პირობა, რომელიც შემთავაზებელს მისცემს უფლებამოსილებას გადასცეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება

---

<sup>101</sup> სს “ზანკი რესპუბლიკა“ ხელშეკრულების სტანდარტული პირობები, პუნქტი 8.1 ხელმისაწვდომია: <http://www.tbcbank.ge/> [18.06.2019];

<sup>102</sup> იხ. დირექტივა 93/13/EEC, ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/> [18.06.2019];

სხვა პირს თუ ეს გამოიწვევს, მომხმარებლის უფლებებისა და გარანტიების შეზღუდვას.

ასევე რეკომენდირებულია:

- ცვლილებები შევიდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 347-ე მუხლში და 93/13/EEC დირექტივის პირველი J პუნქტის შესაბამისად<sup>103</sup>, აიკრძალოს ხელშეკრულებაში სტანდარტული პირობის ჩართვა, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მიმწოდებელს ცალმხრივად, ყოველგვარი საპატიო მიზეზის გარეშე, ცვლილებები შეიტანოს ხელშეკრულების პირობებში.
- ცვლილებები შევიდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, რომლითაც ბათილად იქნება ცნობილი სტანდარტული პირობა, რომელიც გამორიცხავს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 347-348-ე მუხლის, ასევე კანონპროექტის „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ მიზნებისათვის მომხმარებელად მიიჩნევა მხოლოდ ფიზიკური პირი,<sup>104</sup> რომელიც არ მისდევნ სამეწარმეო საქმიანობას, შესაბამისად ვერც სამეწარმეო (კომერციული) და ვერც არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები ვერ სარგებლობენ უფლებით საკუთარი მოთხოვნები, სტანდარტული პირების ბათილად ცნობის შესახებ, დააფუძვნონ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 347-348 მუხლებზე. ვფიქრობ აღნიშნული ჩანაწერი უსამართლოა, რისი თქმის შესაძლებლობასაც, იურიდილ პირებთან მიმართებით, თავად კანონმდებლისა და

<sup>103</sup> იხ. დირექტივა 93/13/EEC, ხელმისაწვდომია: [https://eur-lex.europa.eu \[18.06.2019\]](https://eur-lex.europa.eu [18.06.2019]);

<sup>104</sup> იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 347-348 მუხლები, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge>. ასევე იხ. „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტის მე-2 მუხლი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge>;

მართლმსაჯულების ორგანოების მიდგომის ტენდენციები მაძლევს. კერძოდ დოქტრინაში და სასამართლო გადაწყვეტილებებში განმარტებულია, რომ იურიდიულ პირებს, მათი ორგანიზაციულ სამართლებრივი მოწყობისა და სამოქალაქო სამართლებრივი სტატუსიდან გამომდინარე, მართებთ განსაკუთრებული გულისხმიერება სამოქალაქო ურთიერთობებში. რა თქმა უნდა, სრულიად ვიზიარებ აღნიშნულ პათოსს თუმცა, ვფიქრობ, აღნიშნული მიდგომა უნდა ეხებოდეს იმ იურიდიულ პირებს, რომლებიც მოქმედებენ მისი საქმიანობიდან გამომდინარე დამახასიათებელ ურთიერთობებში. მაგალითად: თუ სამეწარმეო (კომერციული) ორგანიზაციული სამართლებრივი ფორმით ჩამოყალიბებული უნივერსიტეტი, რომლის ერთადერთ საქმიანობის სფეროს უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება წარმოადგენს, დადებს ელექტროენერჯის მიწოდების (ნასყიდობის) ხელშეკრულებას შესაბამის „ენერჯო დისტრიბუტორთან“, უნივერსიტეტს უნდა შეეძლოს თავისი მოთხოვნა, სტანდარტული პირობების ბათიად ცნობასთან დაკავშირებით, დაამყაროს სამოქალაქო კოდექსის 347-348 მუხლებზე, რაც მოქმედი კანონმდებლობით შეუძლებელია. როგორც უკვე არაერთხელ ავღნიშნე სტანდარტული პირობებით შედგენილი ხელშეკრულებების დროს კონკრეტულ პირობის შინაარსში ცვლილების შეტანის შესაძლებლობა ადრესატს არ გააჩნია, რის გამოც იზღუდება შინაარსის განსაზღვრის თავისუფლება. შესაბამისად ვერც ადრესატი, იურიდიული პირები, მოახდენენ გავლენას სტანდარტულ პირობებზე, ამავდროულად კერძო ავტონომიისა და სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი იურიდიულ პირებზეც ვრცელდება. ამიტომ რეკომენდირებულია:

- შევიდეს ცვლილება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 347 და 348 მუხლებში და პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში, რომლებსაც შემთავაზებელი იყენებს იმ ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ რომლებიც არ მოქმედებენ დამახასიათებელი სამეწარმეო ურთიერთობის ფარგლებში, მიიჩნევა ბათილად:“

როგორც უკვე ავლინებთ ნაშრომის შესაბამის თავში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ზნეობისა და საჯარო წესრიგის ნორმების დაღვევას არ მიიჩნევს სტანდარტული პირობების ბათილად ცნობის საფუძველად, თუმცა თუ გავითვალისწინებთ, იმ გარემოებას, რომ ზნეობისა და საჯარო წესრიგის ნორმების პატივისცემა სამოქალაქო ურთიერთობების ქვაკუთხედიცაა, ასევე თუ გავითვალისწინებთ არსებულ სამართლებრივ პრაქტიკას, ვფიქრობ, შესაძლებელი იქნება მართლმსაჯულების განმახორციელებელმა ორგანომ საჯარო წესრიგისა და ზნეობის საწინააღმდეგო ნორმები მიიჩნიოს ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ბათილად ცნობის საფუძველად. თუმცა აქვე უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ სასამართლო ნორმის განმარტებისას არ უნდა შეიჭრას კანონმდებლის ფუნქციებში, რაც პოზიტიური სამართლის სისტემის ქვეყნებისათვის დამახასიათებელია, ვინაიდან აქ „სამოსამართლო სამართალი“ შედარებით სუსტია, განსხვავებით საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებისაგან. ამიტომ ვფიქრობ მართებულია:

- შევიდეს ცვლილებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსში და დაემატოს შემდეგი შინაარსის ნორმა: „ბათილია ხელშეკრულების სტანდარტული პირობა, რომელიც ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგისა და ზნეობის ნორმებს“.

## დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრინციპს, რომელსაც, თავის მხრივ, პიროვნების თავისუფალი განვითარების სახით, კონსტიტუციურ სამართლებრივი საფუძველი გააჩნია. რომ არა სახელშეკრულებო თავისუფლება, თავად ხელშეკრულებაც არ იარსებებდა. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ხელშეკრულებას სულ ცოტა ორი მონაწილე მხარე ყავს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობებში შეიძლება შეგვხვდეს ეგრედწოდებული უფლებრივი „კოლიზია“. აქვე თუ გავითვალისწინებთ სამართალში არსებულ ზოგად პრინციპს იმასთან დაკავშირებით, რომ „პირის უფლება მთავრდება იქ სადაც იწყება სხვისი უფლება“ სამართლიანი იქნება თუ ვიტყვით, ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი არ წარმოადგენს აბსოლიტურ უფლებას და მისი შეზღუდვა გარკვეული ლეგიტიმური მიზნების არსებობის შემთხვევაში დასაშვებია. სწორედ ასეთი ლეგიტიმური მიზანს ემსახურება ხელშეკრულების სტანდარტული პირობების სამართლებრივი მოწესრიგება, რომელიც განსაზღვრავს სტანდარტული პირობების სახელშეკრულებო პირობებად გადაქცევისათვის აუცილებელ კრიტერიუმებსა და სტანდარტული პირობების ბათილად ცნობის საფუძველებს. ასევე აღსანიშნავია: რომ არა ხელშეკრულების სტანდარტული პირობების სამართლებრივი მოწესრიგება, სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში სრულიად შესაძლებელი იქნებოდა ბაზარზე დომინირებულ პირს, ცალმხრივად განესაზღვრა პირობები და შეეთავაზებინა მომხმარებლისათვის. ასეთ შემთხვევაში გვეყოლებოდა მომხმარებელი ყოველგვარი სამართლებრივი დაცვის გარანტიების გარეშე, რაც უხეშად დააღვევდა სახელშეკრულებო თანასწორობასა და სამართლიანობას.

ხელშეკრულებაში სტანდარტული პირობების ჩართვა ზღუდავს იმ პირის სახელშეკრულებო თავისუფლებას, შინაარსის განსაზღვრის ნაწილში, რომელსაც მონაწილეობა არ მიუღია სტანდარტული პირობების შედგენის პროცესში,



ამასთან განმეორებით უნდა აღინიშნოს, რომ მომხმარებელს არ გააჩნია ამგვარ პირობებში ცვლილებების შეტანის რეალური შესაძლებლობა. თავის მხრივ, სტანდარტული პირობების კანონით დადგენილი საფუძვლები ზღუდავენ შემთავაზებლის უფლებას თავად განსაზღვროს სახელშეკრულებო პირობა ისე როგორც მას სურს. თუმცა თუ გავითვალისწინებთ იმ ლეგიტიმურ მიზნებს, რომლებიც კანონმდებელმა საფუძვლად დაუდო ხელშეკრულების სტანდარტული პირობების მომწესრიგებელ ნორმებს, მართებული იქნება თუ გამოვიტანთ დასკვნას, სახელშეკრულებო თავისუფლების შეზღუდვა სტანდარტული პირობებით პოზიტიური ხასიათისაა და მისი მიზანი სამომხმარებლო ბაზრის მონაწილეთა უფლებების დაცვაა, რათა არ მოხდეს სამოქალაქო სამართლის სუბიექტებს შორის თანასწორობის პრინციპის ისეთი დოზით დარღვევა, როგორც დაურეგულირებელი „ბაზრის“ პირობებში გვექნებოდა.

პოზიტიურად უნდა შეფასდეს საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულება, რომელმაც საქართველოს ხელისუფლება დაავალდებულა შესაბამისობაში მოიყვანოს ეროვნული კანონმდებლობა ევროპულ კანონმდებლობასთან. პოზიტიურია ასევე საქართველოს პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“, რომელიც მიღების შემდეგ სრულიად ახალ სტანდარტებს დააწესებს მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით. თუმცა, ჩემი აზრით, ქართულ კანონმდებლობაში მაინც რჩება გარკვეული ხარვეზები, რომელთა აღმოფხვრის გზებიც წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომში რეკომენდაციების სახითაა მოცემული.

## ბიბლიოგრაფია

### სამეცნიერო ლიტერატურა:

**ახვლედიანი ზ.** ვალდებულებითი სამართალი, გამომცემლობა სამართალი, თბილისი 1999;

**ბზეკალავა ე. ჭალიძე თ. ცერცვაძე ა. გეგენავა დ.** ევროპის სახელმწიფოებო სამართლის პრინციპები, თარგმანი, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი 2014.

**გარიშვილი მ. ხოფერია მ.** რომის სამართლის საფუძვლები, თბილისი 2010  
ხელმისაწვდომია: [http://www.library.court.ge/upload/roman\\_law.pdf](http://www.library.court.ge/upload/roman_law.pdf) [20.06.2019];

**გელაშვილი ი.** სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, Gccc.ge, 17.10.2017 მუხ 319;

**ბალიშვილი ე.** სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, Gccc.ge. 18.08.2016 მუხ 327;

**ზოიძე ბ.** სამართლის პრაქტიკული შემეცნებითი ყოფიერების ცდა, უპირატესად ადამიანის უფლებათა ჭრილში. ესეები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2013;

**ზაქარეიშვილი ქ.** სამართალი და მსოფლიო, ევროპის უნივერსიტეტის სამართლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი, N9/2018;

**თორთლაძე ო.** სამართლის წყაროების როლი, ქართული სამართლის განვითარებაში, კავკასიის უნივერსიტეტი, ჟურნალი N4 „სამართლებრივი განვითარება“ სტუდენტთა მე-7 სამეცნიერო კონფერენციის მონაწილეთა ნაშრომები, 115-155 გვ.

**თოდუა მ. ვილემსი ჰ.** ვალდებულებითი სამართალი, აიწყო და დაკაბადონდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში, თბილისი 2006;

**იოსელიანი ა.** მოქნილი მეთოდის უპირატესობა ხისტ მეთოდთან შედარებით სახელმეკრულებო საკოლიზიო სამართალში, დისერტაცია თბილისი 2010;

**კროპკელერი ი.** გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, თბილისი 2014;

**კაკოიშვილი დ.** ხელმეკრულების სტანდარტული პირობები, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა II გამომცემლობა, თბილისი 2013, 66-83 გვ.

**ლაკერბაია თ.** ხელმეკრულების უარყოფის უფლება, ქართული და ევროპული სახელმეკრულებო სამართლის ანალიზი, დისერტაცია, თბილისი 2016;

**ლაკერბაია თ. ზაალიშვილი ვ. ზოიძე თ.** მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი (ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა), შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2018;

**მაისურაძე დ. სულხანიშვილი ე. ვაშაკიძე გ.** ევროკავშირის კერძო სამართალი - გადაწყვეტილებები და მასალები, ნაწილი I, თბილისი 2018;

**ნადარეიშვილი გ.** რომის სამოქალაქო სამართალი, გამომცემლობა ბონა კაუზა, თბილისი 2009;

**რუსიშვილი გ.** სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი Gccc.ge, 21.03.2017, მუხ 342;

**უილჰელმსონი თ.** სტანდარტული ფორმის პირობები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის თარგმანები, ქართული სამართლის მიმოხილვა;

**შენგელია ი.** სახელმეკრულებო თავისუფლება, როგორც სამოქალაქო სამართლის პრინციპი არსი და მნიშვნელობა, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი N4(23)9, თბილისი 2009, 44-52 გვ;

**ძლიერიშვილი ზ. ცერცვაძე გ. რობაქიძე ი. სვანაძე გ. ცერცვაძე ლ. ჯანაშია ლ.** სახელმეკრულებო სამართალი, გამომცემლობა "მერიდიანი", თბილისი 2014;

**ძლიერიშვილი ზ.** ვალდებულებითი სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2002;

**ჭანტურია ლ.** სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა სამართალი, თბილისი 2011;

**ჭანტურია ლ. ზოიძე ბ.** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გამომცემლობა "სამართალი" თბილისი 2001;

**ჭანტურია ლ.** სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, გამომცემლობა „სამართალი“ თბილისი 2002;

**ჯორბენაძე ს.** ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2016;

Von Bar, C., A Common Frame of Reference for European Private Law - Academic Efforts and Political Realities, Electronic Journal of Comparative Law, Vol., 12.1

**Nadia Walker**, Kontrolle von Konsumenten-AGB unter besonderer Berücksichtigung der Inhaltskontrolle nach Art. 8 UWG, Dike Verlag Zürich/St. Gallen 2015, Dissertation Nr. 4381

**Çiçek Ersoy Artunç**, Vertragsfreiheit als Erscheinungsform der Privatautonomie im deutschen Zivilrecht

#### **ნორმატიული აქტები:**

საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“;

საქართველოს კანონის პროექტი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის საკანონმდებლო მაცნე, დოკუმენტი 200/42, 27/06/2014, გამოქვეყნების თარიღი 11/09/2014, სარე-გისტრაციო კოდი 480610000.03.030.016275

ევროპის სახელმწიფოებო სამართლის პრინციპები;  
UNIDROIT PRINCIPLES OF INTERNATIONAL COMMERCIAL CONTRACTS;  
Treaty on European Union (Maastricht text), July 29, 1992, 1992 O.J. C 191/1  
Treaty Establishing the European Economic Community, Mar. 25, 1957  
COUNCIL DIRECTIVE 93/13/EEC of 5 April 1993 „on unfair terms in consumer contracts“

### სასამართლო გადაწყვეტილებები:

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე N3/7/679;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება სამოქალაქო საქმეზე Nას-1147-1094-2013;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 12 მარტის გადაწყვეტილება სამოქალაქო საქმეზე Nას-147-141-2012;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება სამოქალაქო საქმეზე Nას-611-837-08;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება სამოქალაქო საქმეზე Nას-755-811-2011;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილება სამოქალაქო საქმეზე Nას-368-349-2015;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილება სამოქალაქო საქმეზე N ას-1064-2018;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილება სამოქალაქო საქმეზე Nას-221-2013-212;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება სამოქალაქო საქმეზე N ას-23-18-2011;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილება სამოქალაქო საქმეზე Nას-528-501-2015;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილება სამოქალაქო საქმეზე N ას-549-521-2015;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 9 მარტის გადაწყვეტილება სამოქალაქო საქმეზე N ას-898-848-2015;

ECJ, Judgement of 19 November 1991, Andrea Francovich and Danila Bonifaci and others v Italian Republic, Joint Cases C-6/90 and C-9/90, ECLI:EU:C:1991:428

#### ონლაინ რესურსები:

<https://libertybank.ge/cdn/21/72/cwul5H0LQ0WitCI5zo170g/v2.pdf> [18.06.2019];

[https://bankofgeorgia.ge/retail/m/u/ck/files/sakredito\\_khelshekrulebis\\_danarti\\_1-sakredito\\_khelshekrulebis\\_standartuli\\_pirobebi.pdf](https://bankofgeorgia.ge/retail/m/u/ck/files/sakredito_khelshekrulebis_danarti_1-sakredito_khelshekrulebis_standartuli_pirobebi.pdf): [18.06.2019];

<http://www.tbcbank.ge/web/documents/10184/211219/%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%98+%231+-+%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1+%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98+%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98+%28%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%98+2017+%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1+3+%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%94%29.pdf/b2c9672d-6adf-4862-9a55-be799beba36b> [18.06.2019];

[www.eur-lex.europa.eu](http://www.eur-lex.europa.eu)

www.gccc.ge

www.civilcode.ge

www.Library.court.ge

[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

[www.constcourt.ge](http://www.constcourt.ge)